

Zythnos

Region

№36
2019 მარტის ენი

მე მართლი უჩ დოლ-უაშო სკოაში
ღმერთის ქმნილებას დაანგრევს უცი,
მაგრამ, უკველავთ საჭმეს ვერავინ წაშლის
მუდამ ხსოვნაში იქროლებს ქარი...

რატი გაგუა

მარნეული სამთავრონისო ფესტივალი ინკლუზიური პრაქტიკების გადაცემასთ საზღვრისაში - 2019





ურეკი, მაგნეტისტი თაყაიშვილის 61
ტელ.: 599 10-16-95; 595 15-17-85; 599 77-65-11
E-mail: contact@megobroba.info
www.megobroba.info/ka/

სარჩევი

| | | | |
|--|-------|---------------------------|-------|
| სიყვარული | 2-3 | უბადლონ გრაფიკისი | 15-16 |
| დიდგორობა | 4-5 | ჩვენი გურული ბებია | 17-18 |
| მე მართალი ვარ დრო-ყამთა სვლაში | 6 | ნოდარი ჩემს დღიურებში | 19-21 |
| „სათქმელს ღერძით და სიმღერით ვამბობ | 7-8 | მაგნიტური ქვიშის სანაპირო | 22-23 |
| შეურსა და ცილზე ამაღლებული. | 9-10 | პრომეთეს მღვიმე | 27-28 |
| მიტროფონე ღამიძე და დავით სარაჭიშვილი | 11-12 | მადლიერი ჰაციენტები | 29-30 |
| ქვევრის ღვინო | 13-14 | ანექსოტები | 32 |

პირველი ქართული ურნალი გურულებზე



გურია

REGION

ეაირერესახად ეკონომიკური მთავარობით ეუროპის გამოწვევას
ეაზვიკავშირის რეაპტიკის საქონეაქციო ნომერი
558 25 65 50

მთავარი რალაპბორი და გამომცველი

სარაჭავა

ტელ: 558 25 65 50

ელფონტი: Guriaregion14@mail.ru;
lelasurmava@mail.ru


მპირზასო მკითხველებო!

მოგვაწოდეთ პუბლიკაციები, მოთხრობები,
ჩანახატები, ლექსები, ისტორიები, იდეები, გაგვიზიარეთ
თქვენი პრობლემები და მოგვიყევით საინტერესო ამბები.
გაითვალისწინეთ, უურნალში განთავსება ფასიანია.

ურნალი თავისუფალი პრესის პრინციპით ხელმძღვანელობს.

რალაპბორი გამოსალი ესალაბის სიზუსტაზე ჰასუს აჩვენს ავტორი,
ხოლო სარაჭალაში ტესტზე ჰასუს საგენერაციო რაალაბის შემავათს ეცისრაა.

სიყვარული



სელთუქმნელი ჯვარი

ბერი ამფილოქე გვირჩევდა: შეიყვარე ერთადერთი ღმერთი, რათა შეგიყვაროს ყველამ. არა მხოლოდ ადამიანებს ეყვარები, არამედ – უტყვცხოველსაც, რადგან ღვთის მადლი, თავისკენ იზიდავს, რაც მის წინ არის. შენ, არა მარტო ეყვარები, არამედ პატივსაც მოგაგებენ. შენში გამოისახება უმანქო ხატი, რომელსაც შეიყვარებ და რომლის მსახურიც იქნები.

ბერი იოსები ისიქასტი თავის მონაზენებს უუბნებოდა: რასაც ღმერთს არ ვაძლევთ გამოსაყენებლად, იმას იყენებს სხვა. ამიტომ, მოგვცა უფალმა მცნება, გიყვარდეს იგი მთელი გულით, რათა ეშმაკმა ვერ ჰპოვოს შენში ვერც ადგილი, ვერც მოსვენება.

სიყვარულის შესახებ, ბერი პაისი ამბობდა: მხურვალე სიყვარული, რომელიც თავს წირავს და წუთისოფლის საზრდოს არ ეკარება, შინაგანად ღვთის სიყვარულით საზრდოობს. მაშინ, მთელი ცხოვრება დიდი მარხვაა და ყოველი დღე – განუწყვეტელი სიხარული აღდგომისა. მხურვალე სიყვარული ღვთის მიმართ – მსხვერპლის გაღებით, ატყბობს ჩვენს გულს, და ღვთიური სურვილი, როგორც ორთქლი, რომლის შეკავებაც შეუძლებელია, მაღლა მიიჩევს და ღმერთს უერთდება. ამ სულიერ მდგომარეობას ადამიანი გამოჰყავს არა მარტო საკუთარი თავიდან, არამედ თავად მისი გულიც გამოჰყავს ხორციდან (ხორციელი ვნებებიდან). უკვე

სრულყოფილი და განწმენდილი მიეცება ღმერთის.

ბერი ამფილოქე ამბობდა: როცა ჩვენს გულში ქრისტეს სიყვარული არ არის, უძლურები ვართ, და ვემსგავსებით ხომალდს, რომელსაც ძრავებისთვის საწვავი გამოელია. ყოველთვის სიყვარულით მოვიგონოთ ქრისტე, მაშინ ჩვენი გული ათრთოლდება სიხარულისგან.

სიყვარული უღლევია. რამდენ ადამიანსაც არ უნდა გაუნანილო, არ შემცირდება. ბერმა ეპიფანემ თქვა: ნამდვილი სიყვარული სანთლის ალს ჰგავს. რამდენი სანთელიც არ უნდა აანთო ამ ალით, მას არაფერი დააკლდება. ყოველ ახალ სანთელს ისეთივე ალი აქვს, როგორც დანარჩენს.

ბერი იოსები ამბობდა: როცა მლოცველის სულში მადლი მოქმედებს, მაშინ ღვთის სიყვარული ძლიერია. შემდეგ გადადის მთელ სამყაროზე



მდუმარებელი

და ადამიანზე, რომელიც მლოცველს ისე უყვარს, რომ მზად არის მთელი ადამიანური ტანჯვა და მწუხარება იტვირთოს, რომ სხვები გაათავისუფლოს. და საერთოდ, მლოცველი ყველას მწუხარებას, ყველას სატყივარს განიცდის, თვით უტყვი ცხოველებისაც. გოდებს, როცა მათ ტანჯვაზე ფიქრობს. ეს სიყვარულის თვისებაა, ოღონდ იგი ლოცვაში იბადება. ამიტომ, ვინც წარემატება ლოცვაში, არ

წყვეტს ლოცვას მთელი ქვეყნიერებისათვის. მლოცველთა ხელშია სამყაროს სიცოცხლის გახანგრძლივება. იკოდეთ, როცა მლოცველები აღარ იქნებიან, ქვეყნიერების აღსასრული დადგება.

ბერი იერონიმე ამბობდა: გსურს, ძლიერ გიყვარდეს ადამიანი?.. ძლიერ შეიყვარე ჩვენი ქრისტე. მაშინ დაინახავ, როგორ გიყვარს ადამიანები, თუნდაც ვერ ხედავდე მათ. ის სიყვარული, რომლის საფუძველი ქრისტეს სიყვარულია, ჭეშმარიტი და ძლიერია, ძლიერ შეიყვარე ჩვენი ქრისტე.

სიყვარული ქრისტიანის ნიშანთვისება უნდა იყოს. ბერი ამფილოქე ამბობდა: ჩვენ უნდა გვიყვარდეს ქრისტეს პიროვნება. ეს სიყვარული აუცილებელია ჩვენი სულებასთვის. ასევე, სიყვარული ღვთის ქმნილებებისადმი: ცხოველებისადმი, ხეებისადმი, ყვავილებისადმი, ფრინველებისადმი, და უპირველესად – ადამიანისადმი. იგი გვირჩევდა, – შვილო ჩემო, დაე, შენს გულს მუდამ ალავესებდეს ზეციური სიყვარული, და ეს სიყვარული განხორციელდეს ღვთიურ სურვილებში, მაშინ მოისმენ ღვთიურ საუბარს სიძისა, რომელსაც თაყვანს სცემ, და რომელიც მოხარულია შენთან საუბრისა. როდესაც შენი გული მისი ტახტი იქნება, შენს გულს გამუდმებით უნდა იცავდე, როგორც წმინდა სანაწილეს.

აღტაცებული ვართ ჩვენი ეკლესის წმინდა მამებით და მათი ასეუტური მოლვარეობით. მაინც, რა ამნევედა მათ, რა აძლევდა ძალას? ბერი ანთომზი ამბობდა: მამებს იცავდა ურყევი რწმენა ღვთისა, ღმრთის სიყვარული აღანთებდა მათ. ღმერთი განზრას ტოვებდა მათ, რათა ტკიფილი და ტანჯვა განეცადათ, შემდეგ ანიჭებდა თავის მადლს, და ისინიც არად აგდებდნენ წამებას.



წმ.იოანე ნათლისმცემლის ეკლესია



ეკლესიის ზარები

ბერი პაისი ამბობდა: ვინც უფლის სიყვარულით საზრდოობს, ის ხშირად გულგრილია მატერიალური საზრდოსადმი. ან თუ ჭამს, არაფერს გრძნობს, რადგან ღრმად შეიგრძნობს ღმერთს, იკვებება მისი სიყვარულის ტებილი კურთხევით. როცა გული უფლის სიყვარულით აენთება, თავად იქცევა ცეცხლის ალად, შეუძლია დაწვას ამაოება, რომელიც მას ეხება. აქვს შინაგანი სიმშვიდე.

სიყვარული უნდა გვქონდეს მათ მიმართ, ვინც შეურაცყოფას გვაყენებს. ბერი პორფირე ამბობდა: ყველა, ვინც შეურაცყვყოფს, გვლანდავს და ცილს გენამებს – ჩვენი ძმაა. ბოროტმოქმედის, სატანის ხელში ჩავარდნილი ძმა. თუ ეს ძმა შეგხვდა, იგლოვე, მისთვის ცრემლი დალვარე, თან უფალს შესთხოვე, გიშველის ამ განსაცდელში და მიუტევოს ჩვენს ძმასაც, რომელიც სატანის მსხვერპლი გახდა, და ღმერთი გვიშველის ჩვენც და ჩვენს ძმასაც.

იგივე ბერი მოყვასის სიყვარულის შესახებ ამბობდა: როცა ჩვენი ძმა ცდება, უნდა ავიტანოთ მისი განსაცდელი. ჭეშმარიტი სიყვარული მოყვასისათვის მსხვერპლის გაღებას შთაგვაგონებს. უმსხვერპლოდ, მხოლოდ განეითხვით, ხელს უუწყობთ ჩვენი ცოდვილი ძმის უფრო დაცემას. ხოლო ჩვენი სიყვარულის ჩუმი მსხვერპლითა და მისთვის ღმერთი ვაღვიძებთ მის სინდისს, მისსავე მამხილებელს, სინანული დაეუფლა, და გამოსწორების გზას დაადგა.

ბერი იოსები ამბობდა: როდესაც იცი, რომ ვილაც განგიერთხას და შეურაცყოფას გაყენებს, თითქმის

შეუძლებელია, არ შეიცვალო მასთან მიმართებაში, თუნდაც გამოიყენო ძალისხმევა. მაგრამ, მიტევებით და ღმერთი, წონასწორობას აღიდგენ, მოიშუშებ იმ ტრავმას, რაც მწუხარებამ მოგაყენა.

სიყვარულის ღირსების შესახებ ბერი ფილოთეოსი ამბობდა: თუ ადამიანი სახლს აშენებს და არ გადახურავს, ასეთი სახლი არ გამოდგება. ასეა ადამიანიც, ყველა სათხოება რომ მოიხვეჭოს, მაგრამ, არ აქვს სიყვარული, სათხოებათა სახლი სახურავის გარეშე დარჩება და გამოუსადეგარი იქნება.

იგივე ბერი სიყვარულის მოხვეჭაზე ამბობდა: მშვიდი ადამიანი განიწმინდება ცოდვებისაგან. რადგან მშვიდი ადამიანის სულში ღმერთია დამკვიდრებული. განწმენდილს კი,



ბერი და მისი მოწაფე

სხივები ეფინება და იძენს სიყვარულს.

ბერი პორფირე ამბობდა: ჭეშმარიტ ქრისტიანებს, რომელთა სულში ქრისტე სუფევს, ადამიანის სიყვარულის გარდა, სხვა ნიჭი არ აქვთ, მათ მტერიც უყვართ. ჩვენი სიყვარული მეგობრებისადმი ბევრ უცხო მინარევს შეიცავს, – ანგარიში, სამაგიეროს გადახდა, პატივმოყვარეობა, ვნებიანი თანაგრძნობა და ა.შ. ხოლო ჩვენი სიყვარული მტრებისადმი ანკარაა.

სიყვარულს აქვს ხმა, რომელიც ცვლის ადამიანთა გაქვაცებულ გულებს. ბერი პორფირე ამბობდა: ჩვენმა ქრისტესმიერმა სიყვარულმა

ყველგან უნდა შეაღწიოს, ჰიპერთანაც მატალაში (ადგილი ათენში, სადაც ჰიპერბი იკრიბებიან). მინდა წავიდე იქ, არა იმიტომ, რომ ვუქადაგო, ან განვიცხო, არამედ იმისთვის, რომ ვესაუბრო ქრისტესმიერი სიყვარულით, რომელსაც განახლების ძალა აქვს.

მორჩილება სიყვარულის აუცილებელი პირობაა. ბერი იოსებ ისიქასტი ამბობდა: ნამდვილი სიყვარული არ არსებობს მორჩილების გარეშე. როგორ გინდა ვინმე შეიყვარონ და ემსახურო, თუ მის ნებას არ დაემორჩილე? ნამდვილი სიყვარულის ყოველი მოქმედება – მსახურება. მორჩილი თავს იდებს ორმაგ ძალისხმევას; ერთი მხრივ, რჩმენას, ვინც დავალება მისცა, მეორე მხრივ – სიყვარულს, გამოჩენილს იმ მსახურებაში, ვინც სიყვარული უბოძა.

ბერი ამფილოქე ამბობდა: დავიბადე იმისთვის, რომ მიყვარდეს ადამიანები, ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს, ვინ არიან ისინი თურქები, შავები თუ თეთრები. ყოველ ადამიანში ღვთის ხატებას ვხედავ, და მზად ვარ ამ ხატისთვის ყველაფერი გავწირო.

ქრისტიანებს სიყვარულს ასწავლიდა ბერი გიორგი ქალაქ დრამადან: დიდ ღირსებას და ჯილდოს ფლობს ის ადამიანი, რომელსაც უყვარს ყველა თანამოძმე – ადამიანი, და პირველი მიუტევებს მათ, ვინც ბოროტად მოექცა. თუნდაც კეთილ საქმეს ვემსახურებოდეთ, თუ მოყვასი არ გვიყვარს, არარაობა ვართ. უფალი ჩვენგან ელოდება სიყვარულს.

ბერი პორფირე ამბობდა: იმისთვის რომ სხვებმა შეგიყვარონ, ჯერ შენ უნდა შეიყვარო ისინი.

ნატო ციციშვილი



საცმევლის დამზადება

დიდორობა



მამუკა სალუქევაძე

დიდი პატივი მხვდა წილად, ვიყო მონაწილე დღევანდელი ზეიმისა და საქართველოს შემოქმედებითი ახალგაზრდობის სახელით, წარმოვთქვა სიტყვა – სამადლობელი ესოდენ დიდი ზეიმის, დიდგორობის დაარსებისათვის.

მინდა გამოვთქვა რწმენა, რომ დიდგორობა, მთელი ქართველი ახალგაზრდობის საყვარელ ზეიმად იქცევა, რამეთუ ეს არის ზეიმი ქართველი ერის ძლევამოსილებისა, რწმენის, იმედის, თავგანწირვის და ყოველივე ამაღლებულის, რასაც საფუძვლად სამშობლოს სიყვარული უდევს. სამშობლის სიყვარული კი, უმთავრესი გრძნობა იყო და იქნება ქართველი კაცისთვის. ფუჭია, ყოველი წამოწყება, ყოველი ჩანაფიქრი და საქმე, რაც ამ გრძნობით არ არის წაკარნახევი და განპირობებული.

ვფიქრობ, ჩემთან ერთად, ამ აზრს იზიარებს ყველა ახალგაზრდა შემოქმედი – პოეტი, მწერალი, მხატვარი, მუსიკოსი, არქიტექტორი; ამიტომა, რომ დღევანდელი ახალგაზრდების შემოქმედებაში, ხშირად ვხვდებით მშობლიური ისტორიის ღრმა ცოდნითა და სიყვარულით გამოწვეულ პატრიოტულ მოტივებს, საქართველოს ისტორია შთაგონების უშრეტი წყაროა. საქართველოს ისტორია სწორედ ის წიგნია, რომელსაც ყოველი წაკითხვისას თავიდან აღმოჩენ და აღფრთოვანდები. ისტორია, აღსავსე ბრძოლებით, დამარცხებებითა და გამარჯვებებით; ისტორია, რომელსაც ქმნიდა ერი, ერთეულთა გმირობითა და თავდადებით ფრთაშესხმული.

ეს არის წიგნი, სადაც მრავალი რამ ჯერაც ამოუცნობია და წაუკითხავი.

ეს არის წიგნი, რომელშიც ჩვენმა თაობამ, და მომდევნო თაობებმა თავიანთი სათქმელი უნდა ჩაწერონ.

დღეს, ჩვენ ვზეიმობთ გამარჯვებას, რომ ვარსებობთ და ვზეიმობთ, ეს თავად არის დიდი გამარჯვება ქართველი ერისა.

ჩვენ აქ შევიყარეთ დიდგორის ველზე, რათა პირველ რიგში თაყვანი ვცეთ მინას, სადაც დიდგორის ბრძოლაში დაღუპული ჩვენი გმირი წინაპრები განისვენებენ. აქ, დღეს

ჩაყრილ საფუძველზე, სწორედ მათი სახელის მარადსაყოფად, აღიმართება ობელისკი; იგი დღევანდელ ახალგაზრდებს და მომდევნო თაობებს, მოაგონებს და დააფიქრებს, თუ რაოდენ დიდი ვალი აწევთ – ვალი ქართველობისა...

დღეს, ჩვენ ვზეიმობთ გამარჯვებას! და ვით არ მოვისენოთ წინამდლოლი ამ დიდი გამარჯვებისა: საჩინო, ვთარცა მზე ვარსკვლავთა შორის; ბრწყინვალე, ვითარცა ეთერი ნივთთა შორის; ნათლისფერ, ვითარცა ელვა ღრუბელთა შორის; ტკბილ, ვითარცა არე ჟამთა შორის; მტკიცე, ვითარცა ანდამატი განუკუეთელთა შორის; სახელგანთქმულ, ვითარცა ნებროთ გმირთა შორის; ახოვან, ვითარცა ისო წინამდბრძოლთა შორის; ბრძენ, ვითარცა სოლომონ მეფეთა შორის... – ვიშველიებ არსენ მონაზვნის ხოტბას, რომ უკეთ დავასურათო ხატი მეფისა დავით აღმაშენებლისა....

იგი ჭეშმარიტად იყო დიდი მეფე, დიდი მხედართმთავარი, დიდი პოეტი, დიდი ორატორი. განა მისი სიტყვა, თქმული მხედრობის მიმართ, დიდგორის ომის წინ, არ იყო მთავარი მიზეზი ქართველთა გამარჯვებისა?..

სიტყვა, რომელიც შესულია არა მხოლოდ ქართული, არამედ მსოფლიო მჭევრმეტყველების ისტორიაში.

სიტყვა, რომელიც ნიმუშია იმისა, თუ რაოდენ დიდი ძალა აქვს ქართულ ენას.

სიტყვა, რომელიც წარმოთქმული იყო აქ, ამ ასპარეზზე, დიდგორის ომის ველზე.

ამიტომ, მე მინდა, კადინიერებისათვის და წარმოთქმული სიტყვისათვის, ბოდიში მოვიხადო თქვენს წინაშე, და ამ მინის წინაშე; მაგრამ, ვიდრე სათქმელს დავასრულებდე, გავხდედავ და წაგიკითხავთ წანყვეტს პოემიდან, რომელიც დავით აღმაშენებლის ეპოქასა და მის დიდ გამარჯვებათა ხოტბას წარმოადგენს:



დავით აღმაშენებელი

დღენი ქარვანი კრიალოსნისა ან ქარავანი ბრძოლის
ქართველთა
გახდნენ არ ექნათ ძრწოლა შიშისგან ბრძოლასა შიგან
თავის გამრთველთა
არ თუ ვალია, გარდუვალია შენარჩუნება ქართლის
ქართველთა
ოდენ, შემდგომად შემოდგომათა ღვინდება ღვინონ ვაზთა
ნართველთა.

და ან იხილეთ, გონით იხილეთ, მეფეთა მეფის ქება და ქება
და ვით ერგება, სწორად ერგება, არ მიჭირს სიტყვის
შეპადაგება
სახელთ მაღალთა, ხალხთა ახალთა, მართლად შეჰერის
ფერსქვეშ დაგება
რომლის კარავსა, სხივთა მპარავსა, მზისგან ვერ ფარავს
შეფარდაგება.

თავდაპირველის ყოჩალობითა, ყაჩალ ყიფჩალთა კარი
განუდო
ჩამოსხა ქართლსა ოჯახობითა და წყალობანი დიდნი
განუდო
მისცა მთა ბარი, არ თანაბარი, მომთაბარეთა
სწორად განუყო
ცოლად შეირთო ასული მეფის, მით მითუმეტეს
გული განუდო.

ხედნა თავხედნი, თავადნი დიდნი ერის თავს მსხდომნი
უამად უამითა
მოჰკლა ლიპარიტ დაუდეგარი, კლდეკარი რიდსა
იბყრა ამითა
იყვნენ ესენი, არ მოწესენი, სჭირდათ ეს სენი, ვითა მამითა
და იქცეოდნენ მათებრ სხვანიცა, თუ იქცეოდნენ
სითამამითა.

უფლის ხელისგან ხელისუფალმან ჰყო ეკლესია, თვის ხელ
საწვდომად
მორწმუნე ყველა დაქცეულიყო, და ქცეულიყო დავით
ან თომად
დრო მოინია და მოიწია მეფემან კრება არ შესაცდომად
განკვეთეს ბერნი, ბევრნი ერად და ჰყვეს ჭყონდიდელი არ
ნასაწყდომად.

მან სამებისა სამართალითა მოსილმან თვისებრ სამეფო
მოსა
ნდომა-ქადილით, წვდომის წადილით ენამებოდა წამს
საამოსა
ცოდვას ერიდა, თავს არ იდო და არა ვიდოდა გზასა ამოსა
და ოდენ მტერსა ხამს და უზამსა, მით უთენებდა დღეს
უღამოსა.

შიშს არ ჩვეული, რჩეულთ მრჩეველი არ ირჩობოდა, ანუ
რჩებოდა
ყელს ხატი ება და პატიებას მისგან ითხოვდა და მით
რჩებოდა
და თუ კი ვინმე ეურჩებოდა, სიკეთეს მისგან ვერა
რჩებოდა
ებრძოდა სიკვდილს, პირისპირ ველად და პირველობა თვის
წილ რჩებოდა.

დიდგორს შეიმკო შარავანდედით, განვლო შარვანი,
შემდგომ რანისა
ვინ უწყის რანი, ვინ საგანძურნი, ალილო განძას და
ან ანისა
ჭოროხის პირით, ვიდრე სპერამდის ამოვლო კერძი
ბასიანისა
თავად მზიანიან, თავაზიანიან მტერსა აგემა ქმნა ზიანისა.
იბყრა ტაო და თურქი აოტა, აჯობა ანუ ჯაბანი ჯაბანი
ანთავისუფლა სოფელ დაბანი, ცრემლით ნაბანი კარი და
ბანი
ხარაჯის ნაცვლად, თავად დახარჯა, თავზედ იკისრა
დიდნი ჯაფანი
ხარსა ულელი ვერ ულლის მხარსა და ვერ გასწყვეტავს
წელმზი ჭაპანი.

მხსნელი არს, ვინაც ახსნის რამესა, ანდა რამესა ახსნის
რიდესა
კვლავაც მხსნელი არს, ვინმე მეურნალი, ვინც
ჭირ-შეყრილსა ჭირსა ყრიდესა
მაგრამ ძნელი არს ორივ ხელობა, მხსნელის წინ კაცნი
თავსა ხრიდესა
ხილი იგემეს და ვით იხილეს, დავით სჭვრიტეს და
განადიდესა.

**მამუკა სალუქვაძის სიტყვა,
19 წელს დიდგორობის დაარსების დროს**

დავით აღმაშენებლის მონატა

საქართველოს ეროვნულ მუზეუმში პირველად გამოიფინა ბრიტანეთის მუზეუმში დაცული, დავით IV აღმაშენე-



ბლის მიერ მოჭრილი სპილენძის მონეტა. მონეტას დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვს საქართველოსთვის. მისი წარწერა XI-XII საუკუნეების საქართველოს საგარეო პოლიტიკის მთავარ ხაზს ასახავს. ავერსზე წარმოდგენილია დავით მეფის გამოსახულება ბიზანტიურ სამოს-ში. თავზე ადგას ჯვრით დამშვენებული გვირგვინი – სტემა. მარჯვენა ხელში გრძელბუნიანი ჯვარი უპყრია. მარცხენაში – ჯვრიანი სფერო. გამოსახულების ასომთავრული წარწერა, მას მეფე დავითად მოიხსენიებს. რევერსზე, მონეტის ცენტში თანაბარმკლავიანი ჯვრის გამოსახულებაა. გარშემო გასდევს ასომთავრული წარწერა – ქრისტე, დავით მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, სომეხთა.



მე მართალი ვარ დრო-ეამთა ცელაში...

რატი გაგუა – დაიბადა ქალაქ თბილისში. პროფესიით ბიზნეს ადმინისტრატორი. ჰყავს მეუღლე თინათინ გვასალია. შვილები ალექსანდრე, თაია გაგუები. რატი დედით გურულია – მზია კიკვაძე. უყვარს ბუნებაში ყოფნა და მუსიკა. უურნალ გურია REGION მისი ლექსების დებიუტია.



სამეაროს გმირები

მატერიალურ სამეაროს გ მირები,
კაცის მეგლელები, თუ იესოს ჯვრის მცელები,
ან იქნებ სიბნელის მჯდომნი სინათლის მეგლელები
გალაქტიკაში გაფანტულები,
დანტეს სამოთხის გმირები ჯოჯოსეთს შინაბერები,
სიმართლის განგებ მგმობელნი
ტიბეტის მთებში მჯდომელნი...
როგოროლის და ჰიკ-ჰოპის მსმენელნი
თუნდაც ერთის თავებც გ მირები,
საეკებარ ბევრი შეიგრი რესტორნების გაზმანულები
ასპარეზს გასული ტიაზები ქონებში ჩამალულები,
ლულებში ტევის ჩამდებნი სასხლეტზე გამოკრულები,
წარსულში დაჭიმულები, კურტის გიტარის სიმები.
სიკედილმისაზილნი წიგ ნები თავად მიშვინის გ მირები
ლექსები, მუზები, სადღაც სიგრძეში დაკრძალულები
ფიქრებში ჩამარხულები ბერლიოზივით უწმინდურები
ფეისბუქ გეერდების მომწონებელნი...
ცუკენიურგ ს ბევრი ფულები, ხონიგერების მშობელნი
მესამე მსოფლიო ოძის შემოქმედნი,
რელიგიების ფანტაზიები სარწმუნოების დამღუტელები
შრომაში გათანგულები ციხიდან მაუურებელნი,
ახალგაზრები ბასრები, სიბერეს ბლაგვი საგ ნები
შროცეს ქიმიურს სიეგარულს მართალი ნასტასიები.
ქუჩაში გამვლელ ჯინსიანს შიშველი ადამ ევენი,
სამეაროს ტრიალს რითმები...
გულის ამრევი მითები.

გარს კვლავს ვუურებ ამ ღამაზ ღამეს
სულის გეეთებამ ააგსო მთვარე
წარსულს ჩაბარდა ოცნების ღამე
უფსკრულში ჩასულს ვერ ვნახე რამე.

ადამიანი დაბადებულა,
რომ თავის რწენაში დამკვიდრდებოდა,
მისი ცელილება მასში მეფობდა,
ღმერთს შესცემოდა შენდობას ელოდა.

მე აღარ დამრჩა ვნება, ნუგეში
თანაგრძნობა მაქვს ცოტა უსეში
ასპარეზია ცხოვრების წესი,
გინც გაიმარჯვებს მისია ქესი.



რატი და თაია გაგუაში


ნანა ცურანოვა

...გურია...

კად აღმართულო გურიის მთებო,
რისი თქმა გინდათ და ვერ ახერხებთ?!

ბარში დაჟეროლე ცივო ნიავო
და სიყვარული შემომაგებე.

აქ სულ სხვა არის ხეთა შრიალი,
აქ სულ სხვა არის ფოთოლთა ცვენაც,
ულამაზესო სამშობლო მხარევ
აყვავებული წალკოტს რომ გევხარ.

მუდამ მზიანი, ლიმილიანი,
სალასი იუმორიც გწვევია,
სტუმართმოყვარე, უბრალო მგზავრსაც
მამა-პაპური ყანით ხვდებიან.

ჩემს გურიას, ალერსიანს,
იმედით და ძმობით სავსეს,
მისი მიწის, მისი ხალხის
სიყვარული გადაარჩენს.

* * *

მადლობა იმას, ვინც არწია ჩვენი აკვანი
და ჩვენს მამულში სიარული დაგვაწყებინა,
მადლობა იმას, ვინც გვაზიარა ცოდნის საუნჯეს
და ჩვენს გულებში დედობრივი სიყვარული დაისაუთორა.
მადლობა იმას, ვინც დაიცვა დღემდე სამშობლო,
და მშობლიური დედა ენა შეგვინარჩუნა,
მადლობა იმას, ვინც გვაჩუქებს ულრუბლო ზეცას
და ბედნიერი მომავლისთვის მშვიდობას გეგმავს.

...დედას...

შენით თენდება, შენით ღამდება
ჩემი ძვირფასო დედა,
გთხოვ, მაპატიე, შენი სიცოცხლე
თუ მე ვაქციე ცრემლად.
დედა შვილისთვის ყველაფერია,

...სათქმელს ლექსით და სიმღარით ვამბობა...

მუსიკის მასწავლებელი ნანა ცინარიძე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ შრომაში ცხოვრობს. ნანა საუკეთესო შვილი, დედა, ბებია და მეგობარია. წერს ლექსებს. თუმცა, მოკრძალებულ ქალაბატონს არასდროს დაუბეჭდავს. ნანას ამოუცნობი სიურპრიზი მოვუმზადეთ. უურნალ გურიაREGION მისი შემოქმედების დებიუტია...

ლალი ხომერიკი

შვილი დედისთვის – სევდა.
ფიქრით და დარდით გაჭალავდი,
განა ვერ ვამჩნევ?! ვხედავ...
გკოცნი, გეხვევი, გეალერსები,
თვალსევდიანი რომ ხარ,
შეცდომებს აღარ გაფიმეორებ
თუკი მეორედ მოვალ.
უცებ ბავშვივით გადავიძევი,
როცა მომაპყრობ მზერას,
წარსულს, დღევანდელს და მომავალსაც
ბავშვის თვალებით ვხედავ.
იმედიანი დღე ხვალინდელი,
ვინ გამითენოს ნეტავ?..
ქვეყნად ორია ჩემი მშველელი,
მაღლა ღმერთი, აქ – დედა.

* * *

თითქოს ლამაზი არის სოცოცხლე,
ამოუცნობი სიურპრიზით გავსებს,
ამასთანავე დაუნდობელი,
ცრემლიანი და ტკივილით საგსე.

* * *

ზე დაცემული ადამიანი დიდხანს ძლებს ქვეყნად,
გამოგზავნილი სულბოროტი სატანისაგან,
რათა ანამოს, ტანჯოს, ცრემლის გუბე ადინოს,
ღმერთისგან შობილს განსხვავებულს ბოროტისაგან.
თუ ამ ბრძოლაში გაიმარჯვა ავმა სატანამ
და თუ სიმართლეს ბოროტება დაეპატრონა,
მაშინ ჯობია მთა და ბარი გასწორდეს ქვეყნად
და ყველაფერი გადაიქცეს არარაობად.
რადგანაც მაშინ გავჩენილვართ ტაკიმასხრებად
და ერთმანეთის სამარცხვინო სანახაობად.

* * *

თუ გულს უცაბედად დარდი შეეყრება
უმალ გითანაგრძნობთ ტირიფები,
იმედს ჩაგისახავთ, დარდებს გაგიფანტავთ,
თეთრი ყვითელგულა გვირილები.

* * *

გაზაფხულია, ისე ლამაზად ყვავის ბუნება,
ირგვლივ ყველაფერს ყვავილების სურნელი მოსავას,
ყველა გაზაფხულს ალამაზებს უფლის ალდგომა
და არც არასდროს, უიმედოდ, ალბათ, არ მოვა.
ყველაზე დიდი უმაღლურობა ცოდვილ ხალხისკენ
და არჩევანი უფალსა და ავაზაქს შორის, ავაზაკისა.

როგორ აწამეს, ჯვარზე გააკრეს, ფურთხის ღირსი
გახადეს, რისთვის?!
ოცდათ ვერცხლად გაყიდეს და ეკლის გვირგვინი
დაადგეს, რისხვით!..
მკვდარს აცოცხლებდა, ბრმას თვალს უხელდა,
ამ სიკეთისთვის?!
სიკვდილ-სიცოცხლის გასაყარზე წუთებს რომ ითვლის...

შენ დაუმკვიდრე მაცხოვარო, ცოდვილ შენდობა,
აპატიე და ლოცვით თვალი ალაპყრე ზევით,
შეუნდე, რათა არ იციან, რას ჩადიანო,
და მაინც იხსენ, ვინც მოგივლინა ეს განსაცდელი.

ეს მაგალითი, როგორ უნდა ვთესოთ სიკეთე,
როგორ გვიყვარდეს ერთმანეთი, შევძლოთ დანდობა,
რომ ვიქონიოთ რწმენა უფლის და სუფთა სული,
რომ დაცემულებს პატიოსნად შევძლოთ აღდგომა.

* * *

არ ვწერ იმისთვის, რომ მიწოდოს ვინმემ პოეტი,
და არც იმიტომ, რომ დავიპყრო მაღლა მწვერვალი,
ერთი უბრალო პოეტური სულის ქალი ვარ,
ჩემი ფიქრის და ჩემი დარდის კარგი მკურნალი,
თუკი ჩემს ლექსებს ხან მეღოდით ავაღილონებ,
ესეც იმიტომ, რომ ჩემი სულის მოძახილია,
რა საჭიროა, მერქვას პოეტი ან მომღერალი,
ჩემს ქვეყანაში ასეთები ბევრზე ბევრია,
არც პირველობა, არც ქედმაღლობა მე არ მაღარდებს,
უბრალოება განა ქეყენად დასანუნია?!
თუ ჩემი მუზით, ჩემს ხალხს ჩუმად მოვეფერები,
ეს ჩემში ლვთისგან ნაბოძები საჩუქარია
და არც მაშინებს, თუ ვინმეს არ მოეწონება,
ჩემს სათქმელს მაინც ლექსითა და სიმღერით ვამბობ,
იცით?! – რა არის ჩემთვის მხოლოდ უპირველესი,
თქვენს სახეებზე ბედნიერების ლიმილი ვნახო!..

ნოსტალგია მთვარის სანატაზე

ჩაფიქრებული მივუყვები ქუჩის ნაპირებს და...
ცელქი სიო შემომაგებებს გზად ნაცნობ რიტმებს,
ვიღაც კლავიშებს დასთამაშებს ნაზი თითებით და...
ჩემს გრძნობებში მოსასვენებელ ადგილს დაეძებს.
ნაცნობი რიტმი იდუმალების სამყაროს მიწვევს...
მთელ სხეულს რაღაც უცნაური ძალა დაუვლის და...
ურუანტელი ძვალ-რბილში ატანს.
ო, ეს ნაცნობი ბეთჰოვენის მთვარის სონატა
თავის ჯადოსნურ მელოდიას სიოს გაატანს,
თან სამურად დაბუდებს ყველა სხეულში.
ო, ეს რიტმები ასე ძლიერ რომ აჯადოვებს

ყველა ცოცხალ სულს,

ისევ სინაზით მიგვაცილებს კუბოს გარამდე და...
ჩვენთან ერთად საუკუნო სარეცელს ჰპოვებს.
ან რა ძალა აქვს საოცარი, რა სილამაზე,
თითქოს გატყვევებს, ასეთი რიტმი თავბრუს

დაახვევს თვით დედამიწას,
გრძნობის მორევში ჩაგძირავს და მოგიხმობს ისე
ვით ბეთჰოვენი მოუხმობდა ჯულია გვიჩარდს.
ჩაფიქრებული მივუყვები ქუჩის ნაპირებს,
ნაცნობი სიო კვლავ ნაცნობ რიტმებს შემომაგებებს,
ვიღაც კლავიშებს დასთამაშებს ნაზი თითებით და...
ჩემს გრძნობებში მოსასვენებელ ადგილს დაეძებს.
როცა მოვკვდები, სასუფევლისკენ ის გამაცილებს,
ჯადოსნულ ძალას სამარეში მეც თან ჩამატანს
და მხოლოდ მაშინ მივეცემი საუკუნო ძილს...
მე, ჩემთან ერთად ბეთჰოვენის მთვარის სონატა!..

* * *

ვიცი, ძლიერ გიყვარს
კესანები,
უზომოდ მიყვარხარ და
მენატრები,
მერე რაა რომ ერთმანეთს
ველარ ვხვდებით,
მაინც სიცოცხლის
ბოლომდე მეყვარები.

გვერდით არ
მყავხარ, მაგრამ ვგრძნობ
თანადგომას,
სითბო ჩამიღვენთე
სულში,
ის მზის სხივი ხარ,
რომელმაც ბევრჯერ
ყინული გამილლო
გულში.

უმალ რომ იგებ ჩემს
გულისტკივილს,
მარიგებ, გამიგებ წუთში,
ქილიეს არ
დამივიწყებ, დამეხმარები
არ ჩამაფურთხებ სულში.


მთელი ცხოვრება სულ
თან დამყვები,
თუმც ყოველთვის ვერ
გხვდები,
ამაზე მეტი რა უნდა
მსურდეს,
მეგობარი ხარ ჩემი.

ნამდვილი ფერია ხარ
კეთილი,
ხალხისთვის მთისა და
ბარის,
ალბათ, მიტომ გიყვარს
კესანებიც,
სიმბოლო არ
დავიწყების.

ვუძღვნი ჩემს თანაკლასელს
და ბავშვობის მეგობარს,
ლალი ხომერის



...შურსა და ცილზე ამაღლებული...



ლევან გოთუა

ერთჯერალი გაზეთი ქართველი მთერლის შესახებ

ლ. გოთუა და საბჭოთა ციხეები

„ეს ვერ გამიგია, სამშობლო იმიტომ მიყვარს, რომ ასე შორსა ვარ, თუ იმიტომ ვარ ასე შორს, რომ ასე ძლიერ მიყვარს სამშობლო“, – წერდა ლევან გოთუა ვორკუტიდან გამოგზავნილ წერილში 1951 წელს.

ამ დიდი მწერლისა და მამულიშვილის შესახებ მრავალ საინტერესო ცნობასა თუ დოკუმენტურ მასალას წაიკითხავთ ერთჯერად გაზეთში „ლევან გოთუა“, რომელიც ცნობილი მწერლის 90 წლის იუბილესთან დაკავშირებით გამოვიდა.

„რაღა დასაფარავია – ყოველი ჩემი ახალი წიგნის გამოშვებისას ვდელავ, ვით ტრფობის პატიმარი, რომელიც ყველას წინაშე, თავისი კალმის „ძელზე“ გასმული, ელის განაჩენს“, – წერდა ლევან გოთუა. გაზეთში წაიკითხავთ საინტერესო პუბლიკაციებს მის შესახებ. აგრეთვე გაეცნობით სოლოვეცკის კუნძულებიდან გამოგზავნილ ბარათებს – „სოლოვეცკის ბანაკებში ერთმანეთში არეულია ყველა პატიმარი – პოლიტიკური თუ სისხლის სამართლის დამნაშავე. თითოეული პიროვნება გადახეულია, როგორც ჩვენი ცხოვრება. საერთოდ, სრულებით მოწვევილი ვართ გარე სამყაროს, ვნახოთ რას მოგვცემს 1926 წელი. უიმედონი, მაინც გულის სიღრმეში სადღაც უჩუმრად მცირედი ჩაქსოვილი იმედით ვცხოვრობთ მომავალზე და სიკეთეზე“, – წერს ეს მართლაც უცნაური ბედის ადამიანი – ჩვენი მემატიანე.

– „სადაც სიყვარული არაა, იქ სიძულვილია მხოლოდ“
– ეს სიტყვებიც ბატონ ლევან გოთუას ეკუთვნის. კაცს,

რომელმაც დიდი სიყვარული იცოდა, სიყვარული სამშობლოსი, მეგობრების, საქმის, სიტყვის, კალმის და რომელმაც ასე გაამდიდრა ჩვენი ლიტერატურა.

„ბედინიერ მონობას უბედური თავისუფლება გერჩიოს, მაინც გერჩიოს“, – გვმოძლვრავდა დიდი მწერალი, რომელმაც ამ „უბედური თავისუფლების“ გამო დიდი სიმწარე გამოსცადა ცხოვრებაში და ამ სიმწრითა და სიყვარულით დაწერა „გმირთა ვარამი“, „კრწანისის სევდა“, „უგზო ქარავანი“, „სერაფიტა“ და სხვა მრავალი შედევრი.

გაზეთში უხვად არის სხვადასხვა სახის დოკუმენტური მასალა, მათ შორის ქართველი ჩჩეული ვაჟუკაცებისა, რომლებიც სამშობლოს „ლალატის“ საბაბით გადასახლებული იყვნენ ღვთისგან და კაცისგან დავიწყებულ სოლოვების, ნარიმის, ბიისკის, ვორკუტის სუსხიანი მხარეების საკონცენტრაციო ბანაკებში, სადაც გამეფებული იყო არაადამიანური პირველყოფილი ყოველგვარი სიდუღებირე, წამება, დამცირება, წვალება, მორალური თუ ფიზიკური განადგურება, სადაც აუწერელი სისასტიკე ზეობდა. აქ, მკვლელების, ქურდების, ნარკომანების, თავზეხელალებული ადამიანების გვერდით „ცხოვრობდნენ“ განათლებული ქართველი ინტელიგენტები.

ლევან გოთუა გასამართლებული იყო 58-ე მუხლით (სამშობლოს ლალატი, სსრკ-ის დამხობის მცდელობა პროპაგანდისა და აგიტაციის გზით). მრავალი წელი გაატარა გადასახლებაში, სადანაც წერდა: – ჩემი დარღი ნუ გექნებათ, ვნანობ, რომ რამდენი წიგნი დამრჩა დასაწერი, რამდენი მიზანი და სამვილიშვილო საქმე შეუსრულებელი; ვის დასჭირდა ჩემი გაძევება და რატომ? მალე წავა მატარებელი და უმოწყალოდ დამამორებს საყვარელ სამშობლო-საქართველოს. ძნელია ეტაპში წასვლა, მაგრამ რას ვიზამთ? ისეთ საშინელ გარემოცვაში ვართ, სადაც სიმართლე არ ფასობს!..

მაგრამ სანთელ-საქმეველმა გზა მაინც არ დაკარგა. ლევან გოთუას რომანებმა მკითხველთა დიდი სიყვარული და აღიარება მოიპოვა. მის წიგნებზე თაობები იზრდებიან და მისი საოცარი გმირებისაგან სწავლობენ სიყვარულს, სიკეთეს, ადამიანობას, სიმამაცეს, ჭირთათმენას. „ჰო, რა მძაფრი ყოფილა სიკვდილის შემდეგ წაკითხული, მოწურებულე ცოცხალი სიტყვა“, – წერს ბატონი ლევანი. სწორედ ამ სიტყვების დასტურია მთელი მისი შემოქმედება, რომელიც კვლავ ძველებურად ცოცხლობს... ამ გაზეთის რედაქტორია ბატონი ჯუმბერ ჯიმკარიანი, სარედაქციო კოლეგის წევრები არიან როსტომ ჩხეიძე, ნოდარ სუმბაძე, მარინე თექტუმანიძე, ივანე ჯაფარიძე.

რედკოლეგია მადლიერია ბატონების: რევაზ და შარლ სეფიაშვილების, ვიქტორ გელოვანის, ავთანდილ შამათავას, გიზო ნიშნიანიძისა და ლევან დავითაშვილის, რომელნიც მხარში ამოუდგნენ.

გაზეთი „ლევან გოთუა 90“ საინტერესოდ და მაღალ-პროფესიულ დონეზეა შედგენილი და იმედია, იგი დაინტერესებას გამოიწვევს მწერლის ნიჭის თაყვანის მცემელთა შორის. სიყვარულით გამოცემული ეს გაზეთი ჭეშმარიტი ქართველი მწერლის უკვდავების კიდევ ერთი დადასტურებაა.

ირინე კუკავა



Соловецкое монастырь

ШЕУВАЛЫ КАБИ

Саქართველოს ეროვნული არქივის დირექტორს, ბატონ ვახტანგ გურგენიძეს კარგად იცნობს საზოგადოება, როგორც შესანიშნავ პუბლიცისტსა და საზოგადო მოღვაწეს, ასევე, ფრიად გაბეჭულ პიროვნებას. მისი მწვავე პუბლიკაციები ჯერ კიდევ მაშინ იძებებოდა, ან ხელნაწერად ვრცელდებოდა, როცა ბევრი დღევანდელი „აქტიური“ პოლიტიკური მოღვაწე მაგიდის ქვეშ ფეხშიშველი დატანტალებდა.

სახელმწიფო არქივში, ლევან გოთუას ბიოგრაფიაზე მუშაობისას, ერთი „ვორკუტლაგელის“ წერილებს წავანებდი, რომელმაც ძალიან დამაინტერესა, მაგრამ ტექსტი ისეთი გაყრული ხელით იყო ნაწერი, ზოგი სიტყვა ვერაფრით ვერ ამოვიკითხე. დახმარებისათვის მეგობარ კალიგრაფისტის მივმართე, შევუთანხმდი და არქივში დავბრუნდი. ბატონ ვახტანგ გურგენიძეს 1973 წლიდან ვიცნობ. კარგად ვიცი მისი მტკიცე, შეუვალი ხასიათი, ამიტომ განცხადებასთან ერთად მწერლის მეუღლის – ქალბატონ

ციცო ალხაზიშვილ-გოთუას შუამდგომლობაც ვაახლე, რომ ბარათების ერთი დღით გატანის ნება დაერთოთ.

ბატონმა ვახტანგმა გულთბილად მიმიღო, ყურადღებით მომისმინა, განზრახვა მომიწონა და ყოველგვარი დახმარებაც აღმითქვა. მე „დიპლომატიურად“ მისი ერთი საკმაოდ გაბეჭული პუბლიცისტური წერილიც ვუხსენე, რომელიც იმსანად დაიბეჭდა გაზეთში.

ბატონმა ვახტანგმა კომპლიმენტზე თავაზიანი მადლობა გადამიხადა, შემდეგ ჩემს განცხადებას ხელი დააფარა და ხმადაბლა მითხრა:

– ასე, ჩემი ჯუმბერ, იმუშავე, ყოველმხრივ შეგინყობ ხელს. წერილებს კი ვერ გაგატან. ნუ გენტურება. შევცინ.

– რა, ბატონო ვახტანგ, არ მენდობით?

– როგორ გეკადრება! მაგრამ ხომ იცი, ეს წერილები უკვე საარქივო მასალაა... რა იცი, გზაში რა ხდება! არ შეიძლება. შემდეგ წამოდგა, მხარზე ხელი გადამხვია და ლიმილით მომმართა:

– მოდი, ასე მოვიქცეთ: ახლა უფლობით ვის გაავირვებ. ასე, რომ ნუ მოგერიდება. თუ ფული არა გაქვს – გასესხებ. მოდი, წერილების ქსერიასლები გადავიღოთ. ასე აჯობებს. შენც მშვიდად იქნები და მეც.

– ნუთუ არ მენდო? – გავიფიქრე, – ხომ იცის, რომ წერილებს თვალის ჩინივით გავუფრთხილდებოდი? ბატონი ლევანის არქივს ხომ თავადაც შევმატე გაზეთები, სურათები, წერილები...

გულდამძიმებული გამოვედი არქივიდან... მაგრამ წყენამ მალე გამიარა. შემდეგ, როცა დავთიქრდი, დავრწმუნდი, ბატონი ვახტანგი სავსებით მართალი იყო! – როდესაც კანონით რაიმე აკრძალულია, იქ გამონაკლისის დაშვება არ შეიძლება!

მას შემდეგ ხმირად მიფიქრია: ნეტავ, ბატონი ვახტანგის მსგავსი შეუვალი ადამიანები ჰყოლოდა შუბოსან დარაჯად საქართველოს არა მარტო სულიერ საგანძუროს, არამედ მატერიალურ სიმდიდრესაც. ვინ იცის, მაშინ იქნებ ჩემი ქვეყნის ეკონომიკა აგრძელებად არ გაპარტახებულყო...

გაზეთი „იმედი“, 2 მაისი, 1996 წელი

გაგრძელება მომდევნო ნომერში

ПАБЕЖ კორჩაკი



ებრაული წარმოშობის პოლონელი ექიმი, პედაგოგი, მწერალი იანუშ კორჩაკი პოლონეთის ოკუპაციის წლებში, ვარშავის გეტოში ბავშვების სიცოცხლისათვის იბრძოდა.

1942 წელს, როცა ფაშისტებს ორასი ებრაელი ბავშვი

გადაჰყავდათ გაზის კამერაში, მიუხედავად იმისა, რომ იანუში შეინყალეს, მათთან ერთად იყო...

როდესაც მეგობარმა გეტოდან გათავისუფლების საშვი მიაწოდა, იანუშმა ჰერთხა, – შენ მიატოვებდი შვილს ავადმყოფობასა და უბედურებაში?.. აქ, ჩემი ორასი შვილია, როგორ მივატოვო, ან როგორ უნდა ვიცხოვორო?.. გადაწყვიტა, ბავშვებს არ გაეგოთ, თუ სად მიჰყავდათ. საკარნავალო განწყობა შეუქმნა, და სიმღერით შეუძლვა გაზის კამერაში...

ათი მცნება მშობლებისთვის...

1. ნუ ელოდები, რომ შენი შვილი ისეთი იქნება, როგორიც შენ გსურს. დაეხმარე, იყოს ისეთი, როგორიც მას უნდა...

2. ნუ დააყვედრი ყველაფერს. შენ მას სიცოცხლე აჩუქე, როგორ გადაგიხდის?.. ის თავის შვილს გადასცემს სიცოცხლეს, ის შვილი თავის შვილს. სწორედ, ესაა ბუნე-

ბრივი მადლიერების კანონზომიერება.

3. სხვის ჯავრს ბავშვზე ნუ იყრი, რადგან სუსტია. შენც მოხუცდები და დასუსტები. აი, მაშინ მოიმკი, რასაც დასთეს...

4. ნუ გაქვს აგდებული დამოკიდებულება მისი პრობლემების მიმართ. ცხოვრება მისთვისაც ისევე რთულია, როგორც შენთვის, კიდევ უფრო მეტად, რადგან ბავშვი ჯერ გამოიყდელია.

5. არასდროს დაამცირო ბავშვი!..

6. არ დაგავიწყდეს, მნიშვნელოვანია, ბავშვთან შეხვედრა. უფრო მეტი ყურადღება დაუთმე, რადგან ჯერ არ იცი, თუ ვის ხვდები ამ ბავშვის სახით.

7. ნუ დაიტანჯავ თავს, რომ რაღაც ვერ შეუსრულე, ვიდრე ყველაფერს აუსრულებ, ყოველთვის ცოტა.


8. შვილი - ტირანია, რომელმაც ცხოვრება წაგართვა. შვილი - ცხოვრების ნაჩუქარი წმინდა ჭურჭელია, რომელსაც უნდა მოუარო და შემოქმედებითად შეავსო. შვილი - არ არის, უბრალოდ, ჩემი ბავშვი, ის დროებით მოსავლელად მობარებული სულია.



9. გიყვარდეს უცხო ბავშვებიც. სანამ გადაწყვეტ, როგორ მოექცე, მათ ადგილას შენი შვილი წარმოიდგინე.

10. გიყვარდეს შენი შვილი - უიბლო, უნიჭო, წარუმატებელი. მასთან ურთიერთობის დროს, გახსოვდეს, - ეს ზეიმი შენთან მცირე დროით გრძელდება...

დავით სარაჯიშვილის დაგაღეგიძან 155 წლისთავი მიტროფანე ლალიძე და დავით სარაჯიშვილი




მიტროფანე ლალიძე

ქუთაისში დავით სარაჯიშვილს ახალგაზრდა კაცი წარუდგინეს, და მისი წარმოებული ლიმონათი გაასინჯეს. ცნობილ მრეწველს სასმელი მოენონა და ჰქითხა, - რატომ არ აფართოებ წარმოებას? ახალგაზრდამ უპასუხა, - უსახსრობა მიშლის ხელს, თუ დამეხმარებით, კარგი იქნება...

მიტროფანე ლალიძე (1869-1960 წე.) გახლდათ ცნობილი მრეწველი. ტებილი, უალკოჰოლო სასმელების კარგი სპეციალისტი. მას არ დაავიწყდა დავით სარაჯიშვილის დახმარება, თავადაც მეცენატი გახდა. აკაკის მოღვაწეობის 50 წლისთავზე, რომე-

ლიც 1908 წელს ქ. ქუთაისში გაიმართა. თავისი სახსრებით გამოსცა აკაკი წერეთლის წიგნი საქართველოს გაქრისტიანება ანუ წმინდა ნინო.

მეორე მსოფლიო ომის დროს, თეირანის (1943 წ.) და იალტის (1945



წ.) კონფერენციის ბოლო ლალიძის ლიმონათი გააგზავნეს. აშშ-ს პრეზიდენტს ფ. რუზველტს ლალიძის ლიმონათი

მოეწონა და ათასობით ბოთლი შეუკვეთა.

მიტროფანე ლალიძემ ქუთაისში დაარსა საგამომცემლო ამხანაგობა. გამოსცემდა ქართველ მწერალთა კრებულებს და საგანმანათლებლო წიგნებს. წლების მანძილზე, გარდაცვალებამდე ხელმძღვანელობდა თბილისის უალკოჰოლო სასმელების ქარხანას. მის მიერ დამზადებულმა სასმელებმა, სხვადასხვა გამოფენებზე, არა ერთხელ მოიპოვეს ოქროსა და ვერცხლის მედლები, მათ შორის ვენაში და პეტერბურგში...

მთავარი საზრუნავი - მეცენატობა გაენია ქართველებისათვის, არასდროს ავიწყდებოდა მიტროფანე ლალიძეს.





ღლია ქავჭავაძე



არტურ ლაისტი



დავით სარაჯიშვილი

გერმანელი მწერალი დავით სარაჯიშვილი

შარშან, 2002 წელს, ქართულმა საზოგადოებამ ღირსეულად აღნიშნა საქართველოს დიდი მეგობრის, არტურ ლაისტის დაბადებიდან 150 წლისთავი. თბილისში, იმ სახლის ფასადზე, სადაც ბოლო წლებში ცხოვრიბდა, მო-ენცო მემორიალური დაფა.

არტურ ლაისტი საქართველოს მეორე სამშობლოდ მიიჩნევდა, ცნობილ ქართველებზე დაწერა მოგონებები – საქართველოს გული.

გამორჩეულ ქართველად მიიჩნევდა დავით სარაჯიშვილს, რომელსაც არა ერთხელ შეხვედრია.

არტურ ლაისტი წერდა, – გიგო გაბაშვილის ტილო თბილისელი სამი მოქალაქე დავით სარაჯიშვილის სახლში ინახებოდა. დიახ, ასე აფასებდა ქართველი მეცნატი გიგოს შემოქმედებას.

გერმანელი მწერალი აღნიშნავდა, რომ ილიას ხშირად სტუმრობდა დავით სარაჯიშვილი.

მართლაც, დავით სარაჯიშვილის სახლი 1880-1890 წლებში ქართველი მოღვაწეების თავმყურის ადგილი იყო. აქ, 1882 წელს ილიამ წაიკითხა თავისი განდეგობი, ხოლო 1887 წელს ოთარაანთ ქვრივი.

არტური იგონებს: ილიას ცხოვრებაში სარაჯიშვილს მნიშვნელოვანი ადგილი ჰქონდა. 1890 წლიდან სარაჯიშვილი უფრო ხშირად სტუმრობდა მას...

როგორც არტურ ლაისტი წერს: დავით სარაჯიშვილი იყო ქართული მრეწველობის დამფუძნებელი, ახალგაზრდების და საგანმანათლებლო დაწესებულებების მფარველი. იგი განათლებული კაცი იყო. უყვარდა საზოგადოება და განათლებული ადამიანები. როგორც მრეწველს, თავდაპირველად სურდა, ქართველთა შორის ხელოსნობის, მრეწველობის, ვაჭრობის, სოფლის მეურნეობის განვითარება, რადგან ეს დარგები ნელ-ნელა მიიჩნევდნენ წინ, ხშირად პესიმისტურ განწყობაზე იყო და ქართველების უარყოფით თვისებებზე მიუთითებდა. ამის გამო, ილია და დავითი ხშირად კამათობდნენ, მაგრამ პაექრობა ყოველთვის მშვიდად სრულ-

დებოდა.

როგორც არტური აღნიშნავდა: დავით სარაჯიშვილს და მის მეუღლეს ეკატერინეს სურდათ, თავიანთი სახლი ქართველთა საზოგადო ცხოვრების ცენტრად გადაექციათ. მართლაც ასე მოხდა, როდესაც ახალ სახლში, სერგეევის ქუჩაზე გადავიდნენ, ცოლ-ქმარს სტურობდნენ პოეტები და საზოგადო მოღვაწეები.

არტური იგონებს: 1900 წლის ივნისში, სწორედ, დავით სარაჯიშვილი და მისი მეუღლე ეკატერინე ურჩევდნენ ილიას ბერლინში პროფესორ ლეიდენთან გამგზავრებას, რომელიც ევროპული მეცნიერების ვარსკვლავად ითვლებოდა. როცა სარაჯიშვილს მოიგონებთ, თვალინ დაგიდგებათ მისი სამრეწველო თაოსნობა, ქველმოქმედება და საზოგადო საქმეებისთვის დაუღალავი ზრუნვა. ამიტომ, იგი ცოცხალ მაგალითად დარჩება შთამომავლობისათვის...

არტურ ლაისტის სიტყვების ჭეშმარიტება ახდა!..

გერმანელი მწერალი დავით სარაჯიშვილია პირველად, უფასოდ დაპინავა სახლში – ამ ფაქტს ხშირად იხსენებდა თავის მოღვაწეებში.

ანდრე კარბელაშვილი



დავით სარაჯიშვილი
კონიავის-ქარხნის თანამშრომლები

ქვეპრის დახმ

ქვევრში დაყენებული კახური ღვინო, საქართველოში და
მის ფარგლებს გარეთ, პრესტიულ სასმელად ითვლებო-
და. XX საუკუნის 60-იან წლებში, მას შემდეგ, რაც საქარ-
თველოში მეღვინეობის წარმოებაში დამკვიდრდა უჯანგა-
ვი და მომინანქრებული ლითონის ავზები. ქვევრისა და
მუხის კასრის მიმართ, გაჩნდა ნიჰილიზმი. თანდათან გაჩ-
ნდა მოსაზრება, რომ ქვევრი შრომატევადი ჭურჭელია.
რატომ არ შეიძლება, დიდი ტევადობის ავზებში დამზად-
დეს იგივე კახური ღვინო. მოისურვეს, ავზებში უკეთესი
ღვინი დააყენონ. მაგრამ, საუკუნეების მანილზე დაგრო-
ვილი გამოცდილება, საპირისპიროს ადასტურებდა, რომ
საუკეთესო ღვინო ქვევრში დაებოდა. აუცილებელი იყო
მეცნიერული კვლევა, დაისვა საკითხი – რა განაპირობებს
ქვევრის ღვინისთვის დამახასიათებელ არომატსა და გე-
მოს?.. შეიძლება თუ არა სხვა ჭურჭელში (მინა, უჯანგავი,
ფოლადი, მომინანქრებული ავზი) დავაყენოთ იგივე ქი-
მიური და ორგანოლეპტიკური მახასიათებლების ღვინო,
რომელსაც ქვევრში ვიღებთ?.. ეს ფაქტი აინტერესებს
როგორც ქართველებს, ასევე, უცხოელებს...

მავანი და მავანი იფიქრებს: შევქმნი მიწის ზემოთ
მოთავსებულ რომელიმე ტევადობაში ისეთივე ტემპერა-
ტურულ რეჟიმს, როგორიცაა მიწაში ყელამდე ჩაფლულ
ქვევრში, ალკოჰოლური დუღილისა და ჭაჭაზე დავარგე-
ბის პროცესში, და მივიღებ კახურ ლვინოს, ან უკეთესს.
მაგრამ, არ ითვალისწინებს მნიშვნელოვან გარემოებას, –
თიხა არ არის არც მიწა, არც მინანქარი და არც უჯანგავი
ფოლადი. თიხა ბუნებრივი ფენომენია, და არა ქიმიური
პროცედურებით მიღებული ხელოვნური მასა. ბუნებრი-
ვად იძალება კითხვა, – ისეთი რა უნდა იყოს თიხაში, რაც
საჭიროა კახური ტრადიციული ლვინისთვის?.. რთულ
შეკითხვაზე დამაჯერებელ პასუხს, მხოლოდ ხანგრძლივი
და მრავალმხრივი კვლევის შედეგად მივიღებთ.

ჩვენი კვლევა განაპირობა საცდელი ობიექტის შერჩევამ 2011-2012 წლების რთველის სეზონზე, ერთი და იგივე ზვარისა და ნაკვეთის ყურძნისგან დააყენეს ლვინო ქვევრში და ქვევრის გარეშე – საკვები პროდუქტებისათვის ნებადართულ პლასტმასის კასრებში, რომლებიც წლების მანძილზე გამოიყენებოდა კახური ლვინის დაყენების ტრადიციულ ტექნოლოგიებში. საკვლევ ლვინოებში საზღვრავდნენ ეთერზეთების შემადგენელ აქროლად, არომატნარმომქმნელ, ფენოლურ ნაერთებს და თავისუფალ ამინომჟავებს, კვლევის თანამედროვე მასსპექტრომეტრული და ქრომატოგრაფიული მეთოდების გამოყენებით. როგორც ლვინოში, ასევე, თიხის ქვევრის მასაში საზღვრავდნენ მინერალურ ნივთიერებებს – კათიონები, ანიონები (ფოტომეტრული, ატომურ-აბსორბციული, ალის ფლტომეტრული) მოკულობითი მეთოდების გამოყენებით.

აქროლადი არომატნარმოქმექნელი ნაერთები. ღვინისთვის დამახასიათებელია პირველადი და მეორეული არომატების კომპლექსი. პირველადი – ყურძნის ჯიშური არომატია, მეორეული – წარმოიქმნება ალკოჰოლური დუღილის პროცესში საფუვრების ზემოქმედებით. ნაზით თაგული ვითარდება ღვინის დავარგების დროს, რაც პირველადი და მეორეული არომატული კომპონენტების



თემურაზ, ბურაბ ლლონტები

რთული ბიოქიმიური გარდაქმნის შედეგია.

რაც უფრო ინტენსიურია მასის შეხება ჰაერის უანგბა-დთან (ტექნოლოგიური პროცესების თანმდევია), უფრო მეტი რაოდენობით ნარმონშობა ალიფატური ალდეჰიდები. ნახშირნყლების დახლეჩვის პროდუქტები (ლაქტონები, მქროლავი ფენოლები) დაბალი ზღვრული კონცენტრაციის პირობებშიც, განაპირობებენ ამა თუ იმ ტიპის ლვინის სპეციფიკურ არომატს. დუღილის პროცესი ალდეჰიდები მაღალი რეაქციისუნარიანობის წყალობით, ნანილობრივ კონდენსირდებიან ყურძნის ტებილის ფენოლურ და აზოტოვან ნაერთებთან, ნანილობრივ აღდგებან შესაბამის სპირტებად, ნანილობრივ ურთიერთქმედებენ სპირტული დუღილის მეორეულ და თანმდევ პროდუქტებთან. ნახშირნბადის აფომთა მაღალი რიცხვის შექმნე ალდეჰიდები (იზოვალერიანის, ენანტის) მცირე კონცენტრაციით, გამოირჩევიან ხილის არომატული ტონებით.

დადგენილია ყურძნის მაგარი ნაწილების, განსაკუ-
თრებით ყურძნის კლერტის როლი კაზური ღვინის ჩვეუ-
ლი არომატისა და გემოს ჩამოყალიბებაში. კლერტის
განსაკუთრებული მნიშვნელობა განპირობებულია მისი
მდიდარი ქიმიური შემადგენლობით. კლერტში იდენ-
ტიფიცირებულია ტერპენები, ლაქტონები, არომატული
სპირტები, ალდეჰიდები, ცხიმოვანი მჟავები, აცეტალე-
ბი, ნახშირნებულები, რთული ეთერები, ამიდები, კეტონები,
ფიზიკურ-ქიმიური და ორგანოლეპტიკური კვლევების შე-
დეგად, დადგრნდა, რომ ყურძნის კლერტის გარეშე, ტი-
პიური კაზური ღვინო ვერ მიიღება.

ეთერზეთების შემადგენელი აქტოლადი, არომატწარ-
მომქმნელი ნაერთები, წარმოდგენილია იმ ჯგუფებით,
რომელთა რაოდენობრივი და თვისებრივი მახასიათებლე-
ბი ნაჩვენებია წვერი ესპერიმენტული კლოვის შედეგაში.

როგორც ჩანს, ქვევრში დაფულებული და დავარგებული ღვინო აქროლად, არომატნარმომქმნელ ნაერთთა ცალკეული ჯგუფების რაოდენობრივი მაჩვენებლებით, საგრძნობლად უსწრებს კასრში დაყენებული და დავარგებული ღვინის შესაბამის მაჩვენებლებს. განსაკუთრებით რთულ ეთერებზე, ლაქტონებზე, არომატულ სპირტებზე. მაგალითად, უმაღლესი სპირტების რაოდენობა ქვევრის ღვინოში 26,94%-ით მეტია, კასრში დაყენებულ ღვინოს-თან შედარებით, რთული ეთერების – 36,5%-ით, ლაქტონების – 27,6%-ით, არომატული სპირტების – 23,2%-ით, კეტონების – 21,2%-ით, აქროლად ნაერთთა ყველა ჯგუფის ჯამური რაოდენობა ქვევრის ღვინოში 29,25%-ით მეტია, კასრის ღვინოზე.

უმაღლეს სპირტებში რაოდენობრივად წამყვანი ადგილი უკავია იზოამილის სპირტს საკვლევი ღვინის ორივე ნიმუშში, თუმცა, ამ სპირტის რაოდენობა $26,85\%$ -ით იზრდება ქვევრში დაყენებულ ღვინოში, კასრთან შედარებით. ასევე, იზრდება იზობუთანოლის რაოდენობა $58,44\%$ -ით ამავე დროს, კასრის ღვინის ექვსი უმაღლესი სპირტი-დან, ქვევრის ღვინოში აღარ ფიქსირდება ორი უმაღლესი სპირტი.

სპირტები მონაწილეობენ ღვინის არომატისა და გე-
მოს ჩამოყალიბებაში. კერძოდ, ეთანოლის როლი ზემოთ
ჩამოთვლილთან ერთად, რომ ამ დროს მისი კონცენტრა-
ციის მატება იწვევს ღვინოში აქროლადი და არააქრო-
ლადი ნაერთების ზღვრული კონცენტრაციის ზრდას. ეს
მოვლენა დადასტურდა კახური ღვინის ქიმიური კვლევე-
ბის დროს.

საკულტო ღვინოში იდენტიფიცირებულია 10 ცხიმოვანი მჟავა, რომელთაგან 8 მჟავა კასრის ღვინოში, ქვევრში კი, 9 მჟავა. ქვევრის ღვინოში ფიქსირდება 2 მჟავა, ორივე ღვინოში იდენტიფიცირებულია 7 ცხიმოვანი მჟავა.

ქვევრის ღვინოში გვაქვს როგორც მუავათა რაოდენობრივი მატება, ისე შემცირება. მაგალითად, გაიზარდა კაპრონმჟავის, კაპრილმჟავის და ნონანმჟავის რაოდენობები (34%-თ, 43%-ით, 1,91%-ჯერ). ხოლო შემცირდა იზოერბომჟავისა და პალმიტინმჟავის რაოდენობები (25%-ით და 8%-ით).

საინტერესო სურათია რთული ეთერების თვისებრივა
და რაოდენობრივ შემცველობაში.

კასრის და ქვევრის ღვინოების რთული ეთერების თვის-
სებრივი შემადგენლობების შედარების დროს, ნათლად
ჩანს გარდაქმნის სურათი. კასრის ღვინოში იდენტიფი-
ცირებულია 13 რთული ეთერი, ქვევრი 9, თუმცა ჯამუ-
რი რაოდენობა ქვევრის ღვინოში უფრო მაღალია. ორივე
ღვინოში იდენტიფიცირებულია 5 რთული ეთერი. კას-
რის ღვინოში იყო და ქვევრის ღვინოში არ ფიქსირდება
8 რთული ეთერი. კასრის ღვინოში არ იყო, ხოლო ქვე-

როსის ღვინოში ჩნდება 4 რთული ეთერი. ქვევრის ღვინოში შემცირდა 2 რთული ეთერის რაოდენობა. გაიზარდა 3 რთული ეთერის რაოდენობრივი შემცველობა (ეთილლაქ-ტიტი - 26,1%-ით, დიეთილმალატი - 17,75%-ით, მონოე-თილსუქცინატი - 61,32%-ით). საყურადღებოა, ეთერების რაოდენობრივი შემცირების ხარისხი, ქვევრის ღვინოში 9 ეთილკაპრონატი - თითქმის სამჯერ, ეთილპირუვატი - 2,5%-ჯერ მცირდება). ასე რომ, თვისებრივი და რაოდე-ნობრივი ცვლილებები ქვევრის ღვინოში აისახა ამ ღვინის რთული ეთერების ჯამური რაოდენობის მაჩვენებლების ზრდაში (36,5%-ით).

ორივე საკულტურული ღვინოში იდენტიფიცირებულია 2 ტერპენი, რომელთა რაოდენობრივ შემცველობაში არ არის დიდი სხვაობა. A - ტერპინეული ხასიათდება ნაზი, ყვავილოვანი არომატით.

უფრო საგრძნობი თვისებრივი და რაოდენობრივი ცვლილებები აღინიშნება ლაქტონების შემცველობის მხრივ. კასრის ღვინოში იდენტიფიცირებულია 1 ლაქტონი, ხოლო ქვევრის ღვინოში – 2. რაც 27,63%-ით ზრდის ლაქტონების ჯამურ შემცველობას ქვევრის ღვინოში, კასრის ღვინოსთან შედარებით.

არომატული სპირტები ყურძენში მცირე რაოდენობა პითაა. უფრო მეტად მოიპოვება ღვინოში. არომატული სპირტების ძირითადი წარმომადგენელია b – ფენილეთილის სპირტი, რომელიც ხასიათდება თაფლის არომატით. ღვინოში მისი შემცველობა 5-150 მგ/ლ-ის ფარგლებში მერყეობს. ამ სპირტის ზღვრული კონცენტრაცია ღვინოში არომატის მიხედვით, შეადგენს 10-დან 80 მგ/ლ-ს. ამდენად, b – ფენილეთილის სპირტი გავლენას ახდენს ღვინის არომატზე, მისი შემცველობა ქვევრის ღვინოში გაზრდილია 23,31%-ით. ორივე საკვლევ ღვინოში იდენტიფიცირებულია 1 კეტონი, რომლის რაოდენობა ქვევრის ღვინოში 21,2-ჯერ მეტია, ვიდრე კასრის ღვინოში. ასე რომ, თანდათან იზრდება უნიკალური საღვინე ჭურჭლის როლი ქვევრის ღვინის ჩამოყალიბებაში.

თეიმურაზ ლლონტი, ზურაბ ლლონტი



შალვა ბრაზიკოსი

1913 წელს შალვა ძნელაძე პროფესიული განათლების მისაღებად კიევში ჩავიდა. მისაღები გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემდეგ, ჩაირიცხა პეტერბურგის საიმპერატორო სამხატვრო აკადემიასთან არსებულ კიევის სამხატვრო სასწავლებელში. მისი პედაგოგი, უკრაინელი მხატვარი ფიოდორ კრიჩევსკი, სასწავლებელს 1914 წლიდან ხელმძღვანელობდა. შეუმჩნეველი არ დარჩენია ახალგაზრდა მხატვრის ნიჭი, რეკომენდაცია გაუწია კიევში რუსულ ენაზე გამომავალ სახელმიწოდებო უურნალში ქართველი. რედაქციამ უურნალის ფურცლები დაუთმო მეორე კურსის სტუდენტის ნამუშევრებს. გარე კანზე განათავსეს შალვა ძნელაძის კომპოზიცია – კავკასიის მთებში. ხოლო შიდა ფურცლებზე ორი ნამუშევარი – ნახტომი და ბრძოლა კავკასიის ფრონტზე. სტუდენტის შესახებ ინფორმაცია გაერცელდა კიდევ ერთ კიევურ უურნალში ცხოვრება და ხელოვნება. ავტორი მოგვითხრობდა სამხატვრო სასწავლებლის ნამუშევრებზე, რომელიც 1914 წლის 14 თებერვალს გაიხსნა. შალვას ნამუშევრებს ფანტასტიკური უწოდა.

ქართველი მხატვრის წარმატებას გამოეხმაურა ქართული პერიოდული გამოცემა სახალხო ფურცელი. მ. ანეტაშვილი (მ. მამაგეიშვილის ფსევდონიმით) მეოთხელებს შალვა ძნელაძის წარმატებაზე მოუთხრობს.

შალვა ძნელაძე დაიბადა 1892 წელს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ბურნათში – ვექილ ანტონ ძნელაძის და ვადასის მრავალშვილიან ოჯახში – ოთხი ქალიშვილი და ოთხი ვაჟი. შალვამ დაწყებითი განათლება მიიღო ქუთაისის რეალურ სასწავლებელში. მშობლებმა ის ამავე სასწავლებლის ხატვის პედაგოგს, ვასილი კროტკოვს მიაბარეს. მოსკოვის სტროგანვის სამხატვრო სასწავლებლის კურსდამთავრებულმა, საუკეთესო მხატვარმა კროტკოვმა აღსაზრდელების თვალსაზირის გაფართოებისთვის, შემუშავა საინტერესო მეთოდი. მხატვარი ოთარ ჯაფარიძე იგონებს: პირველ კურსზე ჩვენ თაბაშირის თავს ვხატავდით. პედაგოგი კროტკოვი გვეუბნებოდა, – არ გადმოიხატოთ პირდაპირ, კარგად გაიაზრეთ, რადგან შემდეგ, მე ნახატს ნაჭერს გადავაფარებ, თქვენ კი, ზეპირად უნდა დახატოთ. თავიდან გაგვიძნელდა, თუმცა, მაღვე თავისუფლად ვხატავდით. თითქმის ისეთ დონეზე, როგორც ნატურიდან გვქონდა შესრულებული.

ამ მეთოდით კროტკოვი ვიზუალურ მეხსიერებას ასწავლიდა. მისი მონაცემი იყვნენ – დავით კაკაბაძე, ლადო ჯაფარიძე, ოთარ ჯაფარიძე და შალვა ძნელაძე. ასე დაეუფლენ ნატურის პატივისცემას და არა მონობას!..

ქუთაისის რეალური სასწავლების დასრულების შემდეგ, იგი თბილისში სახვითი ხელოვნების სამხატვრო



შალვა ძნელაძის პორტრეტი

სკოლაში აგრძელებს სწავლას. ფერწერას და გრაფიკულ ხელოვნებას ასწავლიდნენ ალექსანდრე მრევლიშვილი, მოსე თოიძე, პეტრიკ პრინცესკი, ბორის ფოგელი.

შალვა ძნელაძე პროფესიული სრულყოფისთვის კიევში გაემგზავრა. იმ დროს ვენიდან ახალი დაბრუნებული იყო ფ. კრიჩევსკი, რომელიც სასწავლებლის დირექტორად დანიშნეს. კრიჩევსკი შეურიგებელი იყო პეტერბურგის სამხატვრო აკადემიის და მის ბალანსზე არსებული, კიევის სამხატვრო სასწავლებელში

გამეფებული აკადემიზმის. სურდა, ახალგაზრდებისთვის მიეცა მეტი თავისუფლება. დანაპირები შეასრულა. სასწავლებელში დაიწყო საინტერესო მხატვრული ძიებები. სწორედ ამ დროს შალვა ძნელაძის შემოქმედებაში დაიღესა მონუმენტურობის შეგრძნებასთან შერწყმული დეკორატიულ-ორნამენტული ტენდენცია, რაც გვანი მოდერნის სტილური მახასიათებელი გახდა.

1917 წლის ბოლოს თბილისში დაბრუნდა. დაიწყო პედაგოგად მუშაობა ტფილისის მესამე ვაჟთა საცდელ-საჩვენებელ სკოლაში. მხატვარი ხშირად სტუმრობს მშობლიურ სოფელს. ჩვითმეტი წლის სტაუსის მქონე შალვა ძნელაძე ჩოხატაურის სახალხო თეატრში აფორმებს სპექტაკლებს. სამშობლოში დაბრუნებისთანავე მიიწვია რეჟისორმა სერგო ბოლქვაძე. გააფორმა ვალერიან გუნიას დაძმა და აქვს სწოტი ცაგარელის პიესა გულჯავარა.

1918 წლის 24 ივნისს შალვა ძნელაძე წერილს წერს დიმიტრი შევარდნაძეს: ბატონო დიმიტრი! მივიღე თქვენს მიერ გამოგ ზავილი 250 მანეთი (იგულისხმება დ. შევარდნაძის ინიციატივით ხელმოკლე მხატვრებისთვის გაცემული დახმარება), რისთვისაც გულწრფელ მადლობას გიხდით თქვენ და ქართველ მხატვართა საზოგადოებას. ვგედავ, ერთი რამ კიდევ დაგავალოთ. იმედია, მაპატიუბთ. წარმოიდგინეთ, ისეთი მანდა არავინ მყავს ნაცნობი, რომ მივმართო. საქმე იმაშია, აქ ხმები გავრცელდა, ვითომ ჩვენ მთავრობას განზრახული ჰქონდეს თრასი სტუდენტის გაგზავნა გერმანიაში, სახაზინო ხარჯით სწავლის მისაღებად. ეს საკითხი ძლიერ მაინტერესებს, რადგან ამ ბოლო დროს, მეტად აუტანელ მდგომარეობაში ვიმყოფები. თუ ეს მართალია, ვის უნდა მივმართო, ან როგორ? იქნებ, მხატვრები არ შედიან მათ რიცხვში?.. წერილი ამავე მისამართით გამოგ ზავილეთ, რითაც დიდად დამავალებთ.

ქართული ხელოვნების საზოგადოების გამგეობამ ორი სხდომა მიუძღვნა უცხოეთში გასამგზავრებელ სტიპენდიანტებს. ორივე სხდომაზე დიმიტრი შევარდნაძემ შალვას კანდიდატურა დასახელა. მას მხარს უჭედნენ დავით კაკაბაძე და შალვა მამალაძე. დავით კაკაბაძე



წერს: როდესაც შალვა გამოვიდა სამოღვანეო ასპარეზზე, საკამაოდ მომარჯვებული ჰქონდა შემოქმედებითი ხერხები. მისი ნარკვევების სიმძაფრეს, შინაარსის ზუსტ გამომეტყველებას, ხელს უწყობდა გამოხატვის მარტივი მხატვრული ენა, რომელიც სწორად შეესაბამებოდა შინაარსს. ხაზისა და ფერის მახვილობა, მარტივ შინაარსთან დაკავშირებული, სახეების დამაჯერებელი გამოხატულება, ცოცხალი მოძრაობა – ყოველივე ეს ქმნის მის ნანარმოებთა ღირსებას.

გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, პროვინციაში მცხოვრები მხატვარი, თავის ნამუშევრებს წარადგენს ამიერკავკასიის ხალხთა ხელოვნების ოლიმპიადაზე. ასევე, გამოფენაზე საბჭოთა საქართველოს მხატვრობა რევოლუციის ცამეტ წლისთავზე. ორივე ექსპოზიციაზე ნამუშევრებმა მაღალი შეფასება და სპეციალური დიპლომები დაიმსახურა. გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ, მოენყო შალვა ძნელაძის პირველი პერსონალური გამოფენა. მისი შემოქმედება მრავალრიცხოვანი. ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრები, მხატვრის დების (ქეთევანი და დარეჯანი) მიერ სათუთად აღრიცხული გადაეცა სემშალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში, სადაც 730-ზე მეტი ექსპონატია დაცული. მისი გრაფიკული ნამუშევრები ინახება გ. ლეონიძის ლიტერატურის მუზეუმში, ქუთაისის დ. კაკაბაძის სახელობის გალერეაში და ჩოხატაურიც მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

შალვა ძნელაძე იყო გურიის ბუნების, ისტორიისა და ყოფის მეხოტებე. მხატვარ გოგი თოთიბაძის თქმით, უნდა იცნობდე გურიას და გურულებს, რომ ჭეშმარიტად გაიგო მისი შემოქმედება.

მხატვრის ნატურმორტები, პეიზაჟები, ანიმალისტური ჩანახატები. ეთნოგრაფიული კომპოზიციები, სიმღერის ამსახველი გრაფიკები – კრიმანჭული, თავისი რთული ფიურატურით. მრავალხმიანობის კიდევ ერთი ნიმუში ნადური. მის შემოქმედებით ობიექტი ხვდება XIX საუკუნის 40-იანი წლების გურიის გლეხთა განმათავისუფლებელი მოძრაობა. 1902-1906 წნ. გურიის აჯანყების ეპოქა, ფიცხი გურულების დაუმორჩილებელი ხასიათის მთელი გალერეა. სახასიათო ტიპაჟები: ფირალები, რაზმელები, ჩალანდარები, პარტიზანები, დარბაისელი მოხუცები. გურული გლეხების პორტრეტები, ლამაზი ბუნება, პამაროს პეიზაჟები. დაასურათა ეგნატე ნინოშვილის ჯანყი გურიაში. ვაჟა-ფშაველას ჩხიკვთა ქორნილი ილუსტრაციები საბავშვო წიგნისთვის) შექმნა აკვარელით.

შალვა ძნელაძე თითქოს გრძნობდა ხანმოკლე სიცოცხლეს, ამიტომ, ცდილობდა, მოესწრო. ხატავდა ყველგან და ყველაფერზე, მოსწავლის რვეულში, უბის წიგნაჟში, ქაღალდის ნაგლეჯზე. მისი შემოქმედება მხოლოდ ოც წელს ითვლის. ფილტვებში გაჩენილი სენით დაავადებული მხატვარი, გარდაიცვალა 1934 წლის შემოგდომაზე. დასაფლავებულია ჩოხატაურის საგვარეულო სასაფლაოზე.

შალვა ძნელაძის შემოქმედებას არ დაუკარგავს აქტუალობა. ეს ის მხატვრობაა, რომელსაც ელის დამფასებლები მომავლიდან...

ირინე აბესაძე

ჩვენი გურული ბაბია...



113 წლის წინ, 17 სექტემბერს დაიბადა არა უპრალოდ მსახიობი, არამედ მსოფლიო მასშტაბის ვარსკვლავი...

სესილია თაყაიშვილს არ უყვარდა ტყუილი. სცენაზეც, როლების შესრულების დროს, იგი ნამდვილი იყო. მისი თქმით, დრო ჭურჭელია, რომელსაც ნიჭიერება ავსებს... ნიჭიერებითა და მაღალი სამსახიობი ისტატობით, წარუშლელი კვალი დატოვა ქართულ კინოსა და თეატრში. უკიდეგანოდ ნიჭიერი და თავისი საქმის პროფესიონალი – ჩვენი გურული ბებია.

სესილიას მამა, დამიტრი თაყაიშვილი თეატრის დიდი მოყვარული იყო. წერდა ლექსებს. მის ოჯახში იკრიბებოდნენ ცნობილი საზოგადო მოღვაწეები. პატარა სესილია სულ ინტერესით აკეირდებოდა სტუმრებს, შემდეგ სარკის წინ ჰპაძავდა.

მომავალი მსახიობი პირველად შვიდი წლის ასაკში დადგა სცენაზე. ელო ანდრონიკაშვილის დადგმულ წარმოდგენაში ყვავილთა შორის, სესილია ერთ-ერთ ყვავილს თამაშობდა.

ბათუმიდან თბილისში ჩამოსული სესილია, შეიყვანეს ქალთა გიმნაზიაში. მერვე კლასის მოსწავლე, პირველ წელს ჩაირიცხა აკაკი ფალავას თეატრში. მას ოცნება აუსრულდა, კოტე მარჯანიშვილის მოწაფე გახდა. 1926 წელს დაასრულა თბილისის თეატრალური ინსტიტუტი. რუსთაველის თეატრში ოთხი წელი დაჲყო. 1930-1966 წელი მოღვაწეობდა მარჯანიშვილის თეატრში.

სესილია თაყაიშვილი ბოლომდე შედიოდა როლში, ანტრაქტის დროსაც კი, თავის როლს განასახიერებდა. მისი თქმით, როცა მათხოვარს თამაშობ, უნდა გჯეროდეს, რომ მათხოვარი ხარ. ხოლო როცა ინგლისის დედოფალს თამაშობ, ინგლისის დედოფალი.

ერთ-ერთ სპექტაკლში იგი დარიძ ქალს განასახიერებდა, ჰქონდა სცენა, სადაც სუნელს ნაყავდა. მსახიობმა ქვასანაყში ნამდვილი სურნელი დააყენა. შესვენების დროს, ქვასანაყით მდგარ სესილიას, ლილი იოსელიანი მიუახლოვდა. ხელში ფრანგული სუნამო ეჭირა, – მოაშორეთ ეს სუნამო, ნუ მაბნევთ, ჩემს გმირს ეს სუნი არას-დროს შეუგრძნია, – მკაცრი ტონით უთქვამს.

სესილია თაყაიშვილს როლისთვის ბევრი რამის დათმობა შეეძლო. წოდარ დუმბაძის მე, ბებია, ილიკო და ილარიონში 70 წლის ოლღა ბებია 55 წლის ასაკში ითამაშა. მისი გმირი ბუნებრივი რომ ყოფილიყო, წინა საღი კბილე-

ბი ამოილო. ასე დაემსგავსა 70 წლის ბებიას.

ბებიას როლი პირველად ითამაშა კინოფილმში მანანა, შემდეგ მობეგა: თოჯინები იცინიან, ნატერის ხე. მას XX საუკუნის ბებია უწოდეს...

სესილია თაყაიშვილი ლეგენდარული ბრიტანული როკ-ჯგუფის პინკ ფლოიდის კლიპშიც მოხვდა. როდესაც ფრანგმა რეჟისორმა უან დაკანტმა, მის მიერ განსახიერებული როლები ნახა, უთქვამს, – ეს ჩემი ბებიაა, რომელიც პროვინციაში ცხოვრობს...

ვიდეოროგოლში ქართველი მსახიობის მოხვედრაზე, რამდენიმე ვერსიაა, და დაკავშირებულია ჯგუფის ერთ-ერთი დამაარსებლის როჯერ უოტერსის სახელთან.

პირველი ვერსიით, XX საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში, ინგლისში დაასახელეს ასი საუკეთესო მსახიობი. მათ შორის სესილია თაყაიშვილიც მოხვდა, არა როგორც ცნობილი მსახიობი, უოტერს ძალიან მოეწონა სესილიას მეტყველი სახე და ჯგუფის ვიდეორგოლში მისი ფოტო ჩასვა.

მეორე ვერსიით, როდესაც როჯერსმა თენგიზ აბულაძის გადაღებული ფილმი მე, ბებია, ილიკო და ილარიონი ნახა, ემოციები ვერ დაფარა და ატირდა. შემდეგ წოდარ დუმბაძის წიგნი წაიკითხა. ხოლო სესილიას ფოტო უურნალიდან ამოილო.

1980 წელს პინკ ფლოიდი ლენინგრადში ჩამოვიდა, კრემლში გადაწყვიტეს, ცნობილი საბჭოთა მომღერალი დახვედროდა, არჩევანი ალა პუგაჩივაზე შეაჩერეს, თუმცა, უოტერსმა სესილიასთან შეხვერდა მოითხოვა.

სესილია თაყაიშვილმა თავისი ცხოვრება ვასო გოძიაშ-



სესილია თაყაიშვილი

ვილს დაუკავშირა. ერთმანეთი მარჯანიშვილის თეატრში გაიცნეს და ერთად ცხოვრება გადაწყვიტეს. შეეძინათ ვაჟი, რომელსაც დავითი დაარქვეს. მიუხედავად იმისა, რომ სესილია და ვასო სიყვარულით დაქორნინდნენ, მათი ურთიერთობა ხანმოკლე აღმოჩნდა. სამ წლის შემდეგ, დაშორდნენ, ვასო გოძიაშვილმა კიდევ შექმნა ოჯახი, სესილია აღარ გათხოვდა, მთელი ცხოვრება ერთადერთ შეილს მიუძლვნა.

როდესაც მარჯანიშვილის თეატრში ძველ და ახალ თაობას შორის დაპირისპირება დაიწყო, მსახიობმა თეატრალურ ცხოვრებას თავი მიანება, მარტო კინოში მუშაობდა.

სესილია თაყაიშვილის ბოლო კინოროლი იყო ელდარ შენგელაიას ცისფერი მთები, სადაც ბუღალტერი თამარის როლი განასახიერა. რეჟისორს ყველაზე მეტად მისი და-თანხმება გაუჭირდა. სცენარით ხელში მიადგა შინ.

ელდარ შენგელაია იხსენებს:

– დეიდა სესილია, აი, სცენარი. მგონი, საინტერესო როლია თქვენთვის. მსურს, გაეცნოთ...

– ყველაფერი დასრულდა, ფილმში აღარ ვითამაშებ, არ შემიძლია...

ცოტა ვიეშმაცე და ვუთხარო:

– იქნებ, სცენარი წაიკითხოთ, და თქვენი აზრი მითხრათ...

– რომელი რედაქტორი მე ვარ, მეტი საქმე არ მაქვს, დავჯდე და შენი უნიჭ სცენარი ვიკითხო.

მეორე დღეს ისევ დავურევე:

– ქალბატონო სესილია, კითხვა ხომ არ დაგინიციათ?..

– კი, წავიკითხე. მოდი ჩემთან, რაღაცას გეტყვი.

მაშინვე გავიქეცი. კარი გამიღო და ვხედავ, საგანგებოდ არის ჩაცმული, სწორედ ისე, როგორც ფილმშია – ხალათი, ჩუსტები, ვარცხნილობაც შეცვლილი აქვს. ხელში რაღაც ქალალდები უკავია.

– ელდარ, ასეთი უნდა იყოს შენი გმირი.

– დეიდა სესილია, მერე აქ არ ხარ...

– არა, მე არ შემიძლია, ყველაფერი მტკიცა, მე უკვე იმ ასაკის ვარ.

– ეს ქალიც ამ ასაკისაა. მასაც ყველაფერი ტკივა, თან აქანავებს...

– მეც მაქანავებს.

როგორც იქნა, როლზე დავითანხმე.

– კარგი, მაგრამ იჩქარე, რაც შეიძლება იჩქარე!..

გადაღებებზე საავადმყოფოდან მოგვყავდა. მის ეპიზოდს ხახევარ საათში ვიღებდით. ექიმიც მოჰყვებოდა, ფილმის დასრულების შემდეგ, რამდენიმე დღეში გარდაიცვალა.

გარდაცვალებამდე კიდევ ერთხელ გააოცა ახლობლები თავისი უბრალოებითა და თავმდაბლობით. ოთახში დედის სურათი ეკიდა. როცა მასთან საუბარი მოენატრებოდა, წერილს წერდა და სურათის უკან ინახავდა. წერილებთან ერთად, მისი ანდერძიც იყო:

ვგრძნობ ცუდად ვარ, ნახველში სისხლი არ მცილდება ვიხრჩვები. რა კარგია, კაცი, დიდი სიცხით რომ არის ავად და ისე კვდება, რა ცუდია, როცა ყველაფერი გტკივა, დადიხარ ძლიერ და არ კვდები...

ყველას გთხოვთ, თეატრში არ გადამიყვანოთ, შეწყდება თეატრში ხშირი სიკვდილი. გთხოვთ მუხლმოდრეკილი.

დიდუბე არ მიყვარს, გთხოვთ, ნუ გამომიძებნით ად-

გილს. საბურთალოზე დამასაფლავეთ. ორ ადგილს გთხოვთ, ჩემს გვერდით მოხვდება, ვინც ჩემს შემდეგ ნავა ოჯახიდან, და არ ვიქნები მარტო.

რა საჭიროა საპატიო ყარაული, ნუ დაღლით ხალხს, არავითარი სიტყვები... ვიყავი, ვშრომობდი და დასრულდა ჩემი ცხოვრება!..

იმედია, ასე მშვიდად მიაბარებთ ჩემს ნეშტს ცივ მინას...

ლელა სურმავა



60 წლის ჩამონახური



ნოდარ დუმბაძე, ვახტანგ დავითაია

1971 წლის იანვარში, ბატონ ივანე ჩხერიალის, საუკეთესო პიროვნების და პროფესიონალის, დიდი მცდელობით მივიღე შემოქმედებითი სახელოსნო. რამდენიმე თვით ადრე, ამ სახლის მეშვიდე სართულზე დაიდო ბინა ნოდარ დუმბაძის ოჯახმა. ასე დაინყო ჩვენი მეზობლობა და მეგობრობა. ნოდარი სახელოსნოს ხშირი სტუმარი იყო. ხოლო მე მათი ოჯახის. ჩემს დღიურებში, მრავალი ჩანაწერია ნოდართან დაკავშირებით. ვფიქრობ, საინტერესოა უკრნალის მეითხველისთვის...

19.IX.1975. მიმი – ჩვენი უმშვენიერესი წმინდა სისხლის ბალონება – ქათქათა, სათნო, ქალწული, ოჯახის სიყვარული, ნათესავ-მეგობრები ღირსეული სასიძოს ძებნაში არიან, უკვე დროა.

ბემბი – დუმბაძის გაურკვეველი ჯიშის ძალლი – პატარა, შეუხედავი, ფსიქიური და სექსუალური გადახრებით. დღეში სამჯერ უმიზეზოდ კივის, სქესის განუჩევლად, ახტება დარბაისელ ძალებს, ისინიც შეშინებული გარბიან, ვერ გაუგიათ, რა მხეცთან აქვთ საქმე. მიუხედავად ამისა, დუმბაძებს ძალიან უყვართ ბემბი. სულ ნოდარის კალთაშია მოკალათებული. ნამდვილი ვაუკაცია, – ამბობს ნანული.

მიმი ხშირად დამყავს სახელოსნოში, მისი ადგილი მანქანაში ჩემს გვერდითაა, წინა თათებით დაეყრდნობა ტაროს და ინტერესით ათვალიერებს ქალაქს. როგორც ყოველთვის, ახლაც, მიმი პირველი შევარდა ლიფტში. სახელოსნოში დახუთული ჰაერია. კარები ღია დავტოვე, მიმი სავარძელში მოკალათდა, მე კი სამზარეულოში შევედი ყავის მოსადუღებლად. ხუთი წუთის შემდეგ, შემოვბრუნდი, საშინელი სურათი დამხვდა. ოთახის ცენტრში მიმი და ბემბი გადაბმულები წვანან და ენაგადმოგდებულები ქლოშინებენ. მიმი თვალებს ვერ მისწორებს. ბემბის წიხლი ვუთავაზე, წივილ-კეიილით დაეშვა სახლისკენ. წივილზე ლეონა და ანზორი გამოვარდნენ (ლეონა ნაკაშიძე, ანზორ სალუქვაძე), რა ფერზე ხარ, რა მოგივიდა? – მოვუყევი რაც მოხდა, სიცილით იგუდებიან. მე კი დანა პირს არ მიხსნის – ეს ბემბი სექსუალური მანიკაია. შეეცადა თანაგრძნობას ლეონა და სახელოსნოდან გავიდა. ვევდები, ახლავე დუმბაძეებს დაურეკავს, აცნობებს ბემბის ვაუკა-

ცობის ამბავს, წარმოდგენილი მაქვს, როგორ გაიხარებენ. პო, რაც მოხდა, მოხდა. ჩავიდეთ დუმბაძეებთან, მოველაპარაკოთ, სრული სერიოზულობით წარმოთქვა ანზორმა, საათს დახედა, სადილის დროა. ფეხს ვითრევ, ანზორი მარწმუნებს, ჩასვლა აჯობებსო. ჩავდივართ სამი სართულით დაბლა, კარს ნოდარი აღებს. ძალიან სერიოზულია. პაუზა – ვიცი, რაც მოხდა. ყველაფერზე თანახმა ვარ, ოლონდ ალმინტზე არ იყოს საუბარი! ოთახიდან ნანულის აღტაცებული ხმა ისმის, – ხომ გეუბნებოდით, ნამდვილი ვაუკაცია. ახლა მაინც დაიჯერეთ. გაიშალა სუფრა, თამადა ანზორია... ნოდარი ამბობს, – ალბათ, აქ სახელისნოში იცხოვრებენ. ჩენთან ახლოს იქნებიან. რა მიხვედრა უნდა, ამ უზნეო მხეცის თავიდან მოშორება სურთ, ტახტის ქვემოდან ბემბის კნავილი ისმის... ახლა, მთავარი პრობლემა ნათელაა. როგორ გადაიტანს ამ ამბავს, რა უნდა უთხრას ნაცნობ-მეგობრებს, რომლებიც მიმის ლეკვებს ელოდებიან (თხუთმეტამდე სიაში). შუამავლობა ნოდარმა იკისრა. დაურევა, დამოყვრება მიულოცა. ნათელამ ვერ გაიგო, რა დამოყვრებაზე იყო საუბარი. იძულებული გავხდი, ყველაფერი წვრილად ამეხსნა, შეიცხადა, დეგენერატი ბემბის ლეკვები გვაკლია. რას ჩამოგტირის სახე. რა გვჭირს დუმბაძეებს დავითაიების დასაწუნი. თუ არ მოგწონვართ, წაიყვანეთ თქვენი პატარძალი, გამოპრაზდა ნოდარი და თამადას სადლეგრძელო სთხოვა.

P.S. მიმიმ ექვსი ლეკვი დაბადა, ყველა პირნავარდნილი ბემბია, ერთი მაინც დამსგავსებოდა დედას.

11.VI.1976. ნოდარი და მე აიგნზე ვდევავართ და ვსაუბრობთ. ჩენს ხმაზე თავისი სახელოსნოს აივანზე გამოვიდა გიგლა (ფირცხალავა). ვაგრძელებთ საუბარს. გიგლამ ახალი თემა შემოაგდო, – რას დაამსგავსეთ ეს ფერდობი (დოლიძის ქუჩის მიმდებარე). ეს მრავალსართულიანი სახლები რომ ჩადგით, მთლად უბედურება. ამ პანელმა სულ გამოგაშტერათ არქიტექტორები, სად არის ფანტაზია, დასვი ახლა აქ ტერასული სახლები, მიუშვი წყლის კასკადები, შემდეგ ისევ ტერასული სახლების ზოლი, შემდეგ კასკადი, ქვემოთ მხოლოდ გამწვანება და სპორტული მოედნები უნდა იყოს, დააგუბე ვერე, მიუშვი ნავები, ყველა სახლს ტერასაზე თავისი გამწვანება და აუზი უნდა ჰქონდეს. საცეკვაო დარბაზები და კნოც



ნოდარი და ბემბი



ნოდარი ქეთინის მეგობრებთან, აგუშერა

უნდა იყოს, მხატვრების სახელოსნოებს აი, ამ კუთხეს გამოვუყოფდი. არქიტექტურა ხელოვნებაა, ძმაო, დაასრულა პროექტირება გიგლამ. ნამდვილი კორპუზიერა, მიჩურჩულა ნოდარმა გიგლას გასაგონად. გაისმა ტელეფონის ზარი, გიგლა სახელოსნოში შევიდა და ჩქარა დაბრუნდა. გადმოდით ერთი, რაღაც უნდა გაჩვენოთ. ნოდარი და მე სახურავიდან გადავძერით. ვხედავთ, ოთახის ცენტრში, ხუთი თუ ექვსი წიგნის თარო დევს. როგორ დავანყო, — მეკითხება, — შე კაი კაცო, ახლა მთელი ქალაქი დაპროექტე, ხუთი თარო ვერ დაგინყვა, — ჩაურთო ნოდარმა. გიგლა გაბრაზდა, — შენ არავინ გეკითხება, მე ამ კაცს ვკითხე, არ მინდა თქვენი რჩევა, მე თვითონ დავაწყობ. მიგვანიშნა, აუდინცია დასრულებულია და შეგიძლიათ წახვიდეთ... მაგრამ, კარგა ხანს ფეხი არ მოვიცალეთ...

19.VII.1976. საღამოს ნოდარი სახელოსნოში ამოვიდა. მე და გიული გეგელია ვხაზავთ. მთელი მისი არსება მზიანეთს დასტრიალებს. მე ვეუბნები, — მზიანეთის თანაავტორი ვარ. ჯერ ერთი ჩემი სახელოსნოს (ვერეს ხეობას გადაჰყურებს) აივანზე დაიბადა ეს იდეა. მერე მეორე, გირჩევ, რასაც ბავშვთა ოცნების ქალაქზე გვიყვები, დაწერე და გამოაქვეყნე. ნოდარი იღიმება და მაძლევს თანაავტორობას. მართლაც, ვიდრე ლიტერატურულ საქართველოში გამოაქვეყნებდა, როგორც კი სახელოსნოში ამოვიდოდა, აივანს მიაშურებდა, და ინწყებდა ოცნებას მომავალ ბავშვთა ქალაქზე — სათამაშო მოედნებით, ატრაქციონები, აუზები, ცხოველთა და ფრინველთა კუთხები, პონებით გასეირნება, ყველა ასაკის ბავშვს, შესაფერი გასართობი უნდა ჰქონდეს, რა უნდა ბეთანიამდე გზის გაყვანას, სულ რაღაც 15-18 კილომეტრია. ჯარს და პიონერებს დავიხმარ, რესპუბლიკურ ყამირად გამოვაცხადებ. სხვაგან რატომ უნდა იარონ ჩვენმა ახალგაზრდებმა, ცეკა მხარს დამიჭერს, კომკავშირმა უკეთესი რა უნდა შეიქმნას?.. შემდგეგ აღნიშნა, — არქიტექტორებს ულევი საქმე გექნებათ, ენახოთ, რისი შნო გაქვთ. ახლა ხომ სხვას ვერ დააბრალებთ, ა, ბატონო, აკეთეთ, რაც გსურთ, მე ვაგებ პასუხს. შემდგეგ ჩამოთვალა იმ სოფლების სახელები, რომლებიც ბეთანიამდე უნდა გაეშენებინათ. ყველა ლამაზი სახელი იყო, ჩანს, ბევრს ფიქრობდა, — გეტყობა მწერალი ხარ და მშენებელთან საქმე არ გქონია. ვუამბე კურიოზული ამბები ჩემი პრაქტიკიდან. მაგალითები არ მოეწონა, მითხრა, — სკეპტიკოსი ხარ, საორგანიზაციო კომიტეტში მინდოდა შენი შეყვანა, ანი ფეხს არ შეგადგევინებ...

20.VII.1976. საღამოს ნოდარი ამოვიდა. მე და გიული ისევ ვხაზავდით, კარგ ხასიათზეა, — არ მორჩით ხაზვას? უცნაური ხალხი ხართ არქიტექტორები, სულ ხაზავთ, ნეტავ, როდის ფიქრობთ?.. ეს რა ვნახე, დღეს, წყნეთიდან მოვდიდოდი მანქანით, ვუყურებ ვერეს ხეობას, რაღაც გზა მოპყება, აგერ, ა, ვაკე-საბურთალოს გზიდან 6-7 კილომეტრი გზა ამოდის. დავუყევით მე და ჩემი მძღოლი, ვიარეთ ამ გზით და სვალეას მივადექით, მანქანებს გაუკვალავთ გზა. დააწყვებ მორჩი და ბავშვთა რკინიგზა მზადაა. შემდეგ 5-6 კილომეტრით გავაგრძელებთ და ბეთანიაში ვართ, — საქმე ასე იოლად არ არის, შევეცადე, ციდან მიწაზე დაშვებას, — საქმეს ნუ მირთულებ და გააგრძელა, მივადექით სვალეას და ორი მილიციელიც დაგვადგა, — ვინ ხართ, აქ რამ მოგიყვანათ, — გვკითხეს. დეპუტატის ნიშანი რომ შენიშნეს, შეწუხდნენ, — ჩვენ მანქანის გამტაცებლები გვეგონეთ, ან ქალი გყავდათ მანქანაში. მე მადლობა გადავუზადე სიფიზილისთვის, დავპირდი, თქვენს უფროსს ვაცნობებ. შემდეგ გვკითხა, — ხომ არ წავიდეთ ერთად ფეხით ბეთანიამდე? — სიამოვნებით დავთანხმდით. ახლა, სხვა პრობლემებზე გადავედით. გიული ამბობს, — რა სულელები არიან არაბები, ერთმანეთს ულეტინ, ვერაფერი გაიგე, აგიხსნი და მალე მიხვდები, ვთქვათ, გიგლა ფირცხალავა (ჩემი და გიგლას სახელოსნოებს საერთო კედელი აქვს) არის ისრაელი, აუტეხა ომი პალესტინას და განძევნა თავისი მიწა-წყლიდან. პალესტინა იძულებულია, მოკეთეს შეუსახლდეს, შეესახლა აგერ, ა, ჯემალოს (ასე მომმართავდა მე). ჯემალომ ასვა, აჭამა, მაგრამ, როდემდე?.. თან პალესტინელებს არ მოსწონთ სივიწროვე და მაგარი სანოლი, გათავხედნენ, დაინყეს მასპინძლების შევიწროება, ატყდა ომი, გაიგე ახლა, რა ხდება პალესტინაში? — კი, გავიგე და დაიხურა ეს პრობლემა.

28.VII.1977. ნოდარმა მოიტანა მზიანეთის კონკურსის პროგრამა. აივნიდან კიდევ ერთხელ მოავლო თვალი მომავალ ბავშვთა ქალაქებს, სულ აღმოჩენებშია. ბავშვები გაიხსნებენ, სახელმწიფოს შემოსავალი გაუჩნდება. მარტო ერთ დღეში, ნაყინით ერთ მილიონს მიიღებს. მეწყინა, უიურში მონაწილეობას რომ დათანხმდი, მერჩია, პროექტი მოგემზადებინა.

1.I.1978. მე და ნათელა სახელოსნოში წავედით, გვსურდა, ლეონას და ანზორს, ნანულის და ნოდარს ახალი წელი მივულოცოთ, რვა საათისთვის ბატონ ირაკლი ციციშვილთან უნდა ავიდეთ, 1 იანვარი, ტრადიციულად, მისი დღეა.

სახელოსნოში მისვლამდე, ანზორი შემოვიდა, — მოდით, ნანული და ნოდარი ჩვენთან არიან. ნოდარმა მითხრა, — მე და ანზორმა დაგიკაუნეთ, ჩემმა რძალმა, მიმიმ გვითხრა, სახლში არ არისო.

ქალები სუფრის ერთ მხარეს ისხდნენ, მამაკაცები — ნოდარი, ანზორი და მე მეორე მხარეს. ნოდარმა თამადობის ორიგინალური მეთოდი მოიფიქრა, ჩუმად, მხოლოდ მამაკაცების გასაგონად ამბობდა სადლეგრძელოს, შემდეგ ყველა ხმამალლა ვყვიროდით გაუმარჯვოს. ნოდარმა თქვა, — მორჩა და გათავდა, 1978 წელი თავისუფლების წელი უნდა იყოს! გვეყო, ძმებო, შეზღუდვები, პაპიროს-

საც მოვწევ, ქალებისკენაც გავიხედავ, გამარჯვებული სახით გადახედა ნაწყლის, მერე მე მომიბრუნდა, – შენ რა გენალვლება, გამოძახებით პრიხოდიაშჩაია უენა გყავს. ნათელამ უპასუხა, – არაფერიც, ნათელას ჰყავს პრიხოდიაშჩი მუჟი – იგულისხმა მთელი დღე ჩემი სახელოსნოში ყოფნა. ასე შეგვერქვა ნოდარის წყალობით მე პრიხოდიაშჩი მუჟი და ნათელას პროხოდიაშჩაია უენა.

21.V.1978. ნოდარი ახალი ჩამოსულია ამერიკიდან. გვიყვება ცინცხალ შთაბეჭდილებებს:

– ყველგან შევჩენკოზე მეკითხებოდნენ (ამერიკაში სს-რკ-ის თანამშრომელი, რომელიც ამერიკელებს ჩაბარდა), ტარას შევჩენკო რომ ყოფილიყო, დამწყდებოდა გული, მასეთ შევჩენკოზე ლაპარაკიც არ ლირს, – ვპასუხობდი. აინტერესებდათ 14 აპრილის თბილისის ამბები, ვუყვებოდი, როგორც იყო, მშვიდობიანი მიტინგი, ყოველგვარი ექსცესების გარეშე, ხალხმა დაიცვა თავისი უპირველესი ლირსება – ენა. ამაში გასაკვირი რა არის?.. შევარდნაძის ლირსეულ საქციელსაც აღვნიშნავდი, უკვირდათ კომპარტიის ლიდერის პოზიცია. ერთ-ერთი შეხვედრის დროს, არტურ მილერმა თქვა, საბჭოთა ნაწილობრივ ცუდად ვიცნობო, – რატომ? ჰკითხეს ჩვენი დელეგაციის წევრებმა, – რა ნამაკითხებს მოთხრობებს და რომანებს ტრაქტორებზე და ხვნა-თესვაზე? ჩვენთან 20-30-იან წლებში წერდნენ, შემდეგ თუ თქვენ საბჭოთა მწერლების ნაწილობრივ არ ნაგიკითხავთ, კარგად ყოფილა საქმე. სამაგიროდ, თქვენ სსრკ-ში არა თუ მწერლები, არამედ სკოლის მოსწავლეებიც გიცნობენ. ერთ-ერთ შეხვედრაზე ამერიკელმა პროზაიკოსმა ქალმა ტრიბუნიდან განაცხადა, – არ დაიჯეროთ ამერიკული დემოკრატიის და თავისუფლების, იგი ფულიანების დემოკრატიაა. ერთი სი-



ნანული და ნოდარი

ტყვით, ოფიციალურ შეხვედრებზე ნამდვილი ბრძოლები გვქონდა, სუფრაზე კი, ორივე მხარე ქე ვამბობდით სიმართლეს. ერთხელ, შეხვედრაზე მიმავალი ჩვენი დელეგაცია ლიფტში გაიჭედა. სადლაც ოცდამეათე სართულზე, გადაგვერია გამცილებელი ქალი, აჭერს ლილაკებს, რეკავს ტელეფონით, თან სულ ბოდიშს გვიხდის, ვატყობინთარები დაარტყამს. თარჯიმანს ვთხოვე, გადაეთარგმნა, ჩვენთვის უჩვეულო არაფერი ხდება. ჩემს სახლში ლიფტი ისე ხშირად ფუჭდება, ჩემი ნაწილობრივი ნახევარი ლიფტში დავწერ. ქალი სიხარულისგან ცას ეწია და ყელზე ჩამომეკიდა, მკოცნა, მკოცნა და მკოცნა...

ვახტანგ დავითაძე
1995 წელი, ივლისი



მაგნიტური ქვიშის სანაპირო



ურეკის დაცვითი საკურორტო ფაქტორები

ბუნების სიმდიდრეები – ზღვა, მზე, მაგნიტური თვისებების მქონე ქვიშა, ურეკში ქმნის საუკეთესო პირობებს დასვენებისა და მკურნალობისთვის... მკურნალობის ოპტიმალური ვადა 24 დღე, მოიცავს აკლიმატიზაციის პერიოდს. საშუალოდ პირველი 2-5 დღე გრძელდება დაავადების ხასიათის, ორგანიზმის ინდივიდუალური თვისებების და მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დაშორებით.

მაგნეტიტის უბანში, ძლიერი მაგნიტური ველის ზონაში, სანატორიუმ მეგობრობასა და მდინარე სეფას შორის, მკურნალობის ხანგრძლივობა 18 დღემდე მცირდება.

სანატორიუმ მეგობრობის რეაბილიტოლოგ-მასაჟისტი ლალი ხომერიკი მეტაბელებს მასაჟებ და სამკურნალო ფიზიულტურაზე მოუთხრობს: თანამედროვე კლინიკურ მედიცინაში მნიშვნელოვანია რეაბილიტაცია. მიმართულია ინგალიფობის პროცედურებისა და ავადმყოფის გამოსაჯანმრთელებლად. აღდგენითი თერაპიის დროს, გადამწყვეტ როლს ასრულებს, სხვადასხვა სამკურნალო საშუალებები. ყველაზე ეფექტურია ფიზიულტურა, ბუნებრივი ფიზიური ფაქტორები – მზე, წყალი, ჰაერი, ფიზიოთერაპია და სამკურნალო მასაჟი. დღეს, კლინიკურ მედიცინაში ფართოდ გამოიყენება მასაჟი, რომელიც დასაბუთებულია მეცნიერულად და შემოწმებულია პრაქტიკით.

– ლალი, კლინიკური მედიცინის რომელი მიმართულებები ირჩევს მასაჟს?

– ორთოპედია, ნერვოლოგია, გინეკოლოგია, კარდიოლოგია და სხვ. მასაჟი არის სანატორიულ-კურორტული და სამედიცინო რეაბილიტაციის კომპლექსური მკურნალობის განუყოფელი ელემენტი. მისი მიზანია, ცალკეული ორგანოების ფუნქციისა და სტრუქტურის გაუმჯობესება. მძიმე დაზიანებისა და დაავადებების აღდგენა. ასევე, არის ჰიგიენის, პროფილაქტიკის საშუალება და ფიზიკური განვითარების აუცილებლობა.

– რა ევალება ექიმ-მასაჟისტს?

– ყოველმხრივ უნდა შეისწავლოს სამკურნალო მასაჟის მეთოდება და ტექნიკა, ჩვენებები და უკუჩვენებები, მისი ფიზიოლოგიური მოქმედება ორგანიზმზე, სამკურნალო-პროფილაქტიკური და აღდგენითი რეაბილიტაციის პროცესში. თუ პაციენტი მაგნიტურ ქვიშას არასწორად მიიღებს, ავადდება. შეიძლება დასრულდეს ლეტალური შედეგით. მეუბნებიან, – ბავშვი სველ ქვიშაში ჰყავთ ჩამარხული. არასწორი მკურნალობა აზიანებს

ურეკის სამკურნალო ფაქტორებს. აუცილებელია, ექიმის კონსულტაცია. პაციენტებს ყოველთვის ვურჩევთ, როგორ მიიღონ ქვიშა.

– სანატორიუმი მეგობრობა ურეკში ერთადერთი მრავალპროფილური დაწესებულებაა. პაციენტებს სამედიცინო მომსახურების სრულ პაკეტს სთავაზობთ...

– ლელა, მართლაც, ასეა... მაღალი კვალიფიკაციის მქონე, გამოცდილი და სერტიფიცირებული სპეციალისტები სამი ათეული წელი ემსახურებიან პაციენტებს. ჩვენთვის მთავარია, შედეგი და მაღლიერი ადამიანები...

– მკითხველებს გავაცნოთ, ვინ არიან ისინი?

– მარინა კომახიძე, 33 წელი მუშაობს მასაჟისტად. მასაჟისტი ცირა ბერიძე, 35 წელი მუშაობს. ნონა მურვანიძე ევალიპტის აბაზანებზე მუშაობს. მორიგე მედდები მაია ჯივიერიშვილი და მანანა დონდოლაძე, ექიმი-ლაბორანტი მაგული მარგალიტაძე, განყოფილების გამგე, ექიმი-თერაპევტი რამაზ ჭეიშვილი, დღის მედდა ლუიზა მითაშვილი, სტომატოლოგი მერაბ მუავია, ვარ სამკურნალო ფიზიულტურის მეთოდისტი, რეაბილიტოლოგი, 32 წელი აქ ვმშვაობს. მაღალ კვალიფიკაციას, ახლავს დიდი გამოცდილება, გუნდურობა, კარგი ურთიერთობა. ხშირად უთქვამთ, – სანატორიუმის სახელს ამართლებთ. მეგობრობაში ყოველთვის მეგობრული გარემოა – იცინის.

– როგორ დასრულდა სეზონი?..

– კარგი შედეგებით. ჩემი შემოდგომით კმაყოფილი ვარ... მაგალითად, ოთხი წლის უტა ონიანმა, რომელიც ურეკში ოცი დღედ ისვენებდა. ერთ კვირაში აიდგა ფეხი. დედა გაოცებას ვერ ფარავდა, უტას გამოჯანმრთელება არა მარტო ჩემი, არამედ კლიმატის და ქვიშის დამსახურებაა. ბევრი უცხოელი პაციენტი გვყავდა. ვმუშაობდით ბათუმისა და თბილისის მერიის ბენეფიციარებზე.

– ურეკის პლაჟზე არასახარბიელო ვითარებაა, ანტისანიტარია, მიუსაფარი ძალები, დანგრეული საშხაპეები... უცხოელმა ტურისტებმა პროტესტი არ გამოხატეს?

– რა თქმა უნდა, გერმანელმა ტურისტებმა პლაჟზე ნახეს ძალები, ანტისანიტარია. თქვეს, – აქ აღარ ჩამოვალოთ. გული გვტყივა, ურეკი სულ უყურადღებოდ, ბედის ანაბარაა მიტოვებული. მაგნიტური ქვიშა უნდა გასუფთავდეს სპეციალური მანქანებით. რუსმა და სომებმა ტურისტებმა მკითხეს, – რატომ არ გიყვართ თქვენი ქვეყანა?.. – ძალიან შემრცხვა... ლელა, ვფიქრობ, უნდა მომზადდეს პუბლიკცია, როგორ გადავარჩინოთ ურეკი!..

ლალის თხოვნას უყურადღებოდ არ დავტოვებ. ერთმანეთს ისევ შევცვდებით. ურეკში კიდევ ბევრი სასწაული და მართალი ისტორია გველოდება...

– სანატორიუმში გესტურმა ავსტრიელი კინოდოკუმენტისტი რეინჰარდ ფორსტინგერი, რომელიც საქართველოში მისი უზმინდესობის მოწვევით ჩამოვიდა.

– მაგნიტურმა ქვიშამ რეჟისორზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. გვირჩია, – რესურსი კარგად უნდა განავითაროთ. მისი თქმით, საქართველოს მომავალი დაკავშირებულია ბუნებასთან, უძველეს კულტურასთან, ისტორიასთან, ქრისტიანულ ტრადიციებთან, რაც მთავარია, თბილ ადამიანებთან... რეინჰარდმა გადაიღო დოკუმენტური ფილმი თუშეთზე. ბევრი იდეა აქვას. ურეკი უკვე მოხვდა მის თვალსაწირში. 2020 წლის ივლისში დაიწყება ფილმის გადაღება.

– სექტემბრის თბილი და მზიანი დილაა. ლენინგრადი-

დაან ჩამოსული ტურისტი ტატიანა პოლევა პლაზისკენ წავიდა...

- შარშან 18 დღე ვისვენებდი, მომენტია კლიმატი, მაგნიტური ქვიშა. მეორედ ჩამოვედი. მართალია, სასურველი პირობები არ არის, თუმცა, ჯანმრთელობისთვის შეუდარებელია. კორპუსი პირველ ზოლშია, ირგვლივ არ არის შენობები, ხე-მცენარეები. საღამოს აიგაზე ვჯდები, ვგრძნობ იოდს, რომელიც ზღვიდან მოდის. თუ თავი ან ფეხი გტყივა, მიდიხარ ექიმთან, რომელიც სხეულის იმ ნანილებს მეურნალობს. აქ კი, მთელი ორგანიზმი ინკურნება. ჩავიტარე ევეალიპტის აბაზანების 10 კურსი. ძალიან მომენტია. გირჩევთ, დაისვენეთ ურეკის პლაზზე, გაირუკეთ და იმკურნალეთ ძაგნიტური ქვიშით...

ინკლუზიური პრაქტიკის მეორე საერთაშორისო ფესტივალი

- ბევრი ქვეყანა და ქალაქია წარმოდგენილი, ბავშვები, დიდები მეგობრულად გადაეხვივით ერთმანეთს. რა ყოჩალები ხართ. ახლა, დაშორდით გუნდები, კარგი შეჯიბრია, მოგნონთ? ტაშით მივესალმოთ ფესტივალის ორგანიზატორებს და მხარდამჭერებს, გადავცეთ სიგელები - მიმართეს წამყვანებმა.

25 სექტემბერს ურეკის კულტურის სახლში დაიწყო მეორე საერთაშორისო ფესტივალი ინკლუზიური პრაქტიკის გადავლახოთ საზღვრები - 2019.

IACD - ერთადერთი მსოფლიო ქსელი, რომელიც პროფესიული განვითარების საშუალებას აძლევს პრაქტიკოსებს, მხარს უჭერს ორგანიზაციებს, რომ გაიზარდოს საზოგადოების შესაძლებლობები, სოციალური და ეკონომიკური თანასწორობა, ყურადღებას უთმობს გარემოს დაცვის საკითხებს და პოლიტიკური დემოკრატიის განვითარებას, მართავს საერთაშორისო ღონისძიებები, სასწავლო ვიზიტები, კონფერენციები, სამეცნიერო კვლევები. ასოციაციის მიზანია, თავის წევრებს მისცეს ხმის უფლება მსოფლიო დონეზე. გაეროში და მის უწყებებში სარგებლობს კონსულტანტის სტატუსით.

ბავშვებში ბოროტება არ ცოცხლობას... თამაშის დროს ისინი ივიწყებენ წყენას... დიდ დარბაზში მოზარდებს საინტერესო ფილმი უჩვენეს. მეორე სართულზე, მცირე დარბაზში ფესტივალის მნიშვნელობაზე ისაუბრეს...

ინკლუზიური პრაქტიკის საერთაშორისო ფესტივალზე ბატონმა შუქრი თავართქილაძემ მიმინვია:

- მასშტაბური ღონისძიება გაიმართა მხოლიდ ენთუზიაზმით. მოსაწვევი გაუუგზავნე საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტურიზმის განყოფილებას, გურიის გუბერნატორის პრეს-სამსახურს უნდა მოეწვია ტელევიზიები და ადგილობრივი მედია. სამწუხაროდ, არ მოვიდნენ. ასეთი უპასუხისმგებლობა დამოკიდებულება აქვთ ურეკის მიმართ.

- რა არის მიზეზი?..

- თუ მათი ინტერესი არ არის, თავს არ იჩუხებენ!.. გურიის შვიდივე გუბერნატორი ურეკის მიწების გაყიდვისთვის გაათავისუფლეს. გაყიდეს ტრიტუარები, პლაჟი, როგორ შეიძლება პლაჟის ზონაში მშენებლობა. დაუშვებელია ზღვიდან მოსული მარილიანი მძიმე მეტალების ჩასუნთქვა, განსაკუთრებით ძილის დროს. ახალი მინათ-სარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების დროს, მიმინვიეს კონსულტანტად. 110 მეტრის ზოლი, დიდი ძალისხმევის შედეგად დამტკიცდა. გიორგი კვირიკაშვილი

იყო ეკონომიკის მინისტრი. მისი მხარდაჭერით გავიდა, დოკუმენტს მან მოაწერა ხელი, ოზურგეთში წინააღმდეგი იყვნენ, ყველას მიწების გაყიდვა სურდა. შემდეგ, გიორგი კვირიკაშვილის პრემიერ-მინისტრობის დროს, 2016 წლის 23 ივლისს ურეკის გენგეგმა დამტკიცდა. მაგრამ... ისევ არღვევენ... არ შეიძლება ჰერგაუმტარი ლობების მოწყობა, გეგმაში მითითებულია, უნდა იყოს 60 სმ. სიმაღლის. ერთ-ერთ მესაკუთრეს ვურჩიე, - მოაწყვე გამჭვირვალე ლობები, დარგე მარადმწვანე ხე-მცენარეები ტუა, დაფნა. არ გაითვალისწინა. კერძო პირი მივუთითებ, - გენგეგმას, ანუ კანონს ნუ არღვევ. გამგებელი, რომელიც მისი მეზობელია, ეხმარება...

- საჯარო მოხელეები არღვევენ კანონს...

- სამწუხაროდ, ასეა. ლელა, დაათვალიერეთ, თვალს წყალს ვერ დაალევინებთ. მაგალითად, ლალის პაციენტს მასაჟისთვის გარევეული რაიდენობა, ანუ დოზა სჭირდება, ვერ ჩერდება, მოსაწყენია აქაურობა, თუ გაწვიმდა, ოთახშია გამოკეტილი, სად უნდა წავიდეს?! ყველგან ბარდა, ეკალი და ჭუჭყია...

ურეკი, თვალს წყალს ვერ დაალევინებ, და წყურვილ-საც ვერ მოიკლავ... პლაზზე ბავშვების გვერდით, მიუსაფარი ძალლებია...

- ადამიანებში ჩავიდა პატრიოტიზმი. წახეთ, სემინარზე როგორ აქტიურობენ სომხები, ეპატიუებიან, - უფასოდ წაგივყანთ. სად აქვთ ფულადი სახსრები. სომხები ქართველებზე მომტინებ ხალხია, თუმცა, ამ საქმისთვის არ იშურებენ, გამომსვლელი თქვენი თანატოლია, ერევნის სამედიცინო ინსიტუტის ადაპტაციური მედიცინის კათედრის გამგე, მსოფლიოში ახალი და მნიშვნელოვანი დარგია. ნაკლოვანებით დაბადებულ ბავშვებს, დაუნის სინდრომით, აუტიზმით დაავადებულებს, ინკლუზიურ ჯგუფებს, ინგალიდებს ვერ უწოდებ, საზოგადოებაში დაჩიარულად რომ არ იგრძონ თავი. ისინი განვითარების განსაკუთრებული თვისებების მქონე ბავშვებია. საჭიროა, ფიზიულტურა, ფისიკოთერაპიული ზემოქმედება, ადაპტაცია. მართალია, ეტლში მჯდომს, ვერ განკურნავ, თუმცა, მდგომარეობას შეუმსუბუქებ. აშშ-ში 300 მილიონი ადამიანი ცხოვრობს, აქედან 30%-ი აუტიზმითაა დაავადებული. XXI საუკუნის მასტატაბური პრობლემაა. სკოლებში სიმკაცრეა. დაუშვებელია, ასეთ ბავშვს სულელი უწოდო.

- მსოფლიოში ყურადღებას უთმობენ სამედიცინო ტურიზმის განვითარებას. თუ ძველი ინერციით გაგრძელდა, საზღვაო კურორტი დაკარავს ფუნქციას?..

- ურეკი, ფაქტობრივად, არ ფუნქციონირებს. მარტი სანატორიუმი მეგობრობა ასრულებს თავის დანიშნულებას. კოლხიდას სანატორიუმის აბრივიატურა აქვს, მაგრამ არ არის სანატორიუმი. აქვთ მოვლილი ეზო და პლაჟი, ემსახურებიან დამსვენებლებს.

27 სექტემბერს დელეგაციის წევრებმა სანატორიუმ მეგობრობაში ურეკის სამკურნალო ფაქტორებზე მოისწინება. კოლხიდას პროფესორ შუქრი თავართქილაძისა და სანატორიუმის მთავარი ექიმის რამაზ ჭეშვილის ლექცია-სემინარი.


მეორე საერთაშორისო ფესტივალი ინკლუზიური პრაქტიკის გადავლახოთ საზღვრები - 2019. დასრულდა. მონაწილეები და ორგანიზატორები მომავალ წელს ისევ შეხვდებიან. გაეროს კონსულტანტის სტატუსის მქონე ასოციაციის ეგიდით, ერთმანეთს საერთაშორისო გამოცდილებას გაუზიარებენ...

ლელა სურმავა
ურეკი, 25-27 სექტემბერი, 2019.




Յ Ե Կ Յ Ո





პროვინციას ელვია



ქალაქ წყალტუბოს ზონის სოფელ ყუმისთავში, სახელგანთქმული კურორტიდან ექვსი კილომეტრის მანძილზე, აღმოჩენილია კარსტული მღვიმე...

მორიგი, ჩვეული სამუშაო დღის დაწყებას აუწყებდა სპელეოლოგიური ექსპედიციის წევრებს 1984 წლის 15 ივლისის დღიაც.

ექსპედიციის წევრებმა – ჯუმბერ ჯიშარიანმა (ხელმძღვანელი), თამაზ ქობულაშვილმა, ვახტანგ კაპანაძემ, ამირან ჯამრიშვილმა და კოტე ნიუარაძემ – ფრთხილად დაიწყეს მღვიმეში შესვლა.

სპელეოლოგები დაუბრკოლებლად შევიდნენ ნაცნობ დარბაზში. სათითაოდ დაათვალიერეს ადრე მონიშნული სამი პატარა გასასვლელი, სამივე მათგანი მცირე მანძილის გავლის შემდეგ დაიხურა.

სხვა გზა არ ჩანდა, არადა ინტუიციით ყველა გრძნობდა, რომ იქით კიდევ რაღაცა იყო.

ლოდზე ჩამოსხდნენ, ფანრების შუქმა კიდევ ერთხელ გასერა დარბაზის ყველა კუთხე. ექსპედიციის ხელმძღვანელმა პატარა სიმაღლის, მაგრამ განიერ ნაპრალს მიაქცია ყურადღება. ახლოდან დაათვალიერა. ნაპრალი სიმაღლით ძალიან ვიწრო ჩანდა – მეშახტის ჩაფხუტი, ეგ. წ. კასკა არ ტრიალდებოდა შიგნით. ჯუმბერმა ფანრით გაანათა ვიწრო ხვრელი, რომელსაც ჭერი სლიპი ჰქონდა, ფსკერი კი – თიხანი. საჭიროების შემთხვევაში შეიძლება თიხის გამოჭრა, – გაიფიქრა.

ფილტვები თითქმის დაიცალა პაერისგან და ხვრელში შექვრა.

მალე გააღწია ბოლომდე!..

გავედი და როგორც კი სივრცეში თავისუფლად ვიგრძენი სხეული, თავი ავწიე და ფანრით გავანათე თვალნინ ასვეტილი სიცარიელე, ფანრის სუსტი, მქრქალი შუქი ვრცელი დარბაზის სიღრმეში ჩაინთქა, ჩემს თვალწინ სტალაგმიტებისა და სტალაქტიტების ტეკრი დავინახე.

ჯუმბერი რამდენიმე წუთს იდგა ასე გაოგნებული. მერე დაუჩოქა ბუნების ამ სასწაულს და სამჯერ ეამბორა ყუმისთავის მინისქვეშეთის თიხას.

...ექსპედიციის ხელმძღვანელის წინ სასწაული გადაშლილიყო. რამდენიმე ხანს კიდევ უმზერდა შორიდან სტალაქტიტებისა და სტალაგმიტების ტყეს... ბიჭებო, ნამდით!.. – გასძახა შემდეგ ხვრელს იქით დარჩენილ უმცროს კოლეგებს.

ამირან ჯამრიშვილი იგონებს:

ოთხივე თითქმის ერთდროულად შევფორთხდით ხვრელში, ათი მეტრის ხოხვის შემდეგ, გავედით ულამა-

ზეს დარბაზში, სადაც ჩვენი ხელმძღვანელი გახარებული გველოდა. გადაგვევია და გამარჯვება მოგვილოცა. სიხარული, მართლაც, დიდი იყო. ბევრი საოცარი დარბაზი გავიარეთ, განცვილებას საზღვარი არ ჰქონდა. მღვიმე კი გრძელდებოდა და გრძელდებოდა!..

პირველ დღეს მიწისქვემეთში სპელეოლოგებმა ნახევარ კილომეტრზე მეტი გაიარეს და მღვიმიდან შებინდებისას გამოვიდნენ.

უბრალო მოკვდავთ, ბუნება იშვიათად თუ გადაგიხსნის ხოლმე, ადამისძის სუნთქვადაუცემ, შეურყონელ გულმკერდს...

გიგლა გობეჩია


სპელეორაპია

სპელეორაპიას, ანუ მღვიმური პაერის სამკურნალოდ გამოყენებას დიდი ხნის ისტორია აქვს, რომელიც მეოცე საუკუნის ორმოცდათიან წლებში კვლავ აღორძინდა.

გერმანიაში, უნგრეთში, აშშ-ში, ჩეხეთში, სლოვაკეთში და სხვაგან სპელეორაპია ბრონქული ასთმის სამკურნალო ეფექტურ საშუალებად იქცა. კლუტერტის (გერმანია), ტოპოლცის (უნგრეთი) მღვიმები ფართოდაა ცნობილი მსოფლიოში.

საქართველოში კარსტული მღვიმების მიკროკლიმატის სამკურნალოდ გამოყენება პირველად ი. კონიაშვილის სახელობის კურორტულოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის და მისი წყალტუბოს ფილიალის თანამშრომლებმა სცადეს. ამ მიზნით, პირველად გამოიყენეს თეთრას მღვიმები, რომელიც წყალტუბოს მახლობლად, სოფელ ხომულში მდებარეობს. კვლევების შედეგად, მოცემულია აკადემიკოსების – ნიკო ხატიაშვილის, გიორგი უშვერიძის, ოორამ თარხან-მოურავის, დოკუნტ ოთარ შავიანიძის და სხვათა შრომები.

მრავალი დაკვირვებით დადასტურდა, რომ სპელეოთერაპიული კურსის შემდეგ, ბრონქული ასთმით დაავადებულთ, ასთმური შეტევები ნანილობრივ ან მთლიანად უწყდებათ; უმჯობესდება გარეგანი სუნთქვის მაჩვენებლები; ქვეითდება ორგანიზმის მგრძნობელობა ასთმის გამომწვევი აგენტების (ალერგენების) მიმართ; უმჯობესდება სისხლის მომოქცევის ძირითადი მაჩვენებლები; დადებითი ძვრებია ბიოქიმიურ მონაცემებში; ქსოვილები ეკონომიკურად ხარჯავენ ჟანგბადს და ა.შ.





იასპონიის ელჩის მეულლე,
ჯუმბერ ჯიშკარიანი

კურორტოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის, აკადე-
მიკოს ნიკო ხატიაშვილის თქმით: კარსტული მღვიმეების
მიკროკლიმატი დადგებითად მოქმედებს არა მარტო ასთ-
მიან ავადმყოფებზე, არამედ ჰიპერტონიით და ჰიპოტო-
ნიით დაავადებულებზეც. მღვიმური ჰაერის მეშვეობით,
ნორმალიზდება წნევა და სხვ. მრავალრიცხოვანი გამოკ-
ვლებების შედეგად, დადასტურდა, რომ კარსტული მღ-
ვიმეების მიკროკლიმატი დადგებითად მოქმედებს ნევრო-
ზით დაავადებული ავადმყოფების გულ-სისხლძარღვთა
სისტემაზე, მათ უმაღლეს ნერვულ ფუნქციაზე და სხვ.

* * *

გვაქვს პატივი, დავადასტუროთ, რომ ქართველმა სპე-
ლეოლოგებმა წყალტუბოს მღვიმის ერთ-ერთ დარბაზში
აღმართულ უმაღლეს სტალაგმიტს, პირველადმომჩენთა
უფლებით, სტალაგმიტი ჯუნკო უწოდეს. საქართველოში
იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის, ბატონ
მასაიმში კომაპარას მეულლის, ქალბატონი ჯუნკო კო-
მოპარას პატივსაცემად, ქართველ და იაპონელ ხალხთა
შორის კულტურულ ურთიერთობაში განეული ღვანლის-
თვის, და იაპონელი ხალხისადმი ღრმა პატივისცემის ნიშ-
ნად.

მღვიმები... ასთმის სამკურნალო

რუსი დიპლომატის შვილიშვილი წყალტუბოს მღვიმეში
ბრონქული ასთმისაგან განიკურნა!..

ამას ნინათ, საქართველოს პარლამენტის ექსპერტ-
კონსულტანტი, ეკოლოგიური და სოციალური კატასტრო-
ფების საერთაშორისო პროექტის ხელმძღვანელი, ბატონი
ვახტანგ მდივანი, საქართველოს მეცნიერებათა აკადე-
მიის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინს-
ტიტუტის დირექტორის, აკადემიის წევრ-კორესპონდენტის,
პროფესორ ზურაბ ტატაშიძეს დაუკავშორდა. სთხოვა,
დახმარება აღმოჩინათ, საქართველოში რუსეთის საე-
ლჩოს დიპლომატის ოჯახისთვის, რომლის ერთი წევრი
ბრონქული ასთმითაა ავად.

საქართველოში რუსეთის ფედერაციის სამხედრო,
სამხედრო-საპარაზო და სამხედრო-საზღვაო ატაშეს, ბა-
ტონ სტანისლავ ივანოვის ოჯახის წევრებთან ერთად,
წყალტუბოში გაემგზავრეთ. პატარა პაციენტი, წყალტუ-
ბოელი ექიმების მეთვალყურეობით, ყოველ დღე დაჟყა-
ვდათ სოფელ ყუმისთავში. იგი მეთვალყურებთან და

მღვიმის მცველთან, გიორგი ტყაბლაძესთან ერთად, სამი
საათი რჩებოდა მიწისქვეშეთში, სადაც იონიზირებული
ჰაერით სუნთქვავდა.

შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა!

წყალტუბოდან წამოსვლის წინ, რუსმა დიპლომატმა
უკურნალისტებთან სუბარში განაცხადა:

– წყალტუბოს მღვიმე დიდებული ობიექტი ყოფილა!
ჩემი ოჯახის წევრები მოიხიბლნენ მისი დარბაზების სი-
ლამაზით. რაც მთავარია, მღვიმური ჰაერი, საუკეთესო
სამკურნალო თვისებებით ყოფილა და გაილდობული. ჩემს
შვილიშვილს ოთხი წელია ასთმა ანუხებს. სად არ ვატა-
რეთ, რა ცნობილ ექიმებთან არ გვყავდა, მაგრამ მედი-
კამენტურმა მკურნალობაში საბოლოოდ ვერ განკურნა.
ზოგჯერ, კვირაში ორჯერ უმეორდებოდა ასთმური შეტე-
ვები. ყუმისთავში ჩამოსვლის შემდეგ, შეტევა ერთხელაც
არ ჰქონია. თუმცა, მკურნალობის პერიოდში, წყალტუბო-
ში რამდენჯერმე შეიცვალა ამინდი. ჭექა-ქუხილიც იყო,
მაგრამ საბედნიეროდ, ყველაფერმა კარგად ჩაიარა. არ
ვიცი, როგორ განვითარდება მოვლენები, საემარისი იქნე-
ბა თუ არა ერთი კურსი, მაგრამ ძალიან კმაყოფილი ვარ.
ბავშვი კარგად გრძნობს თავს.

მე მრავალი ჰუბლიკაცია წავიკითხე ამ მღვიმეზე.
დარწმუნებული ვარ, იგი მაღლ გაითქვამს სახელს მსო-
ფლიონში. ვეცდები, მის საბოლოო კეთილმოწყობაში ჩემი
თანამემამულებიც დაგეხმარონ.

დიდი მადლობა ყველას, ვინც ასეთი სითბო და თანა-
დგომა გამოხატა.

* * *

სტანისლავი საოცრად გონიერი ბიჭუნაა. წერა-კითხ-
ვა ოთხი წლისამ ისნავლა. თურმე, ასაკისთვის სრულად
შეუფერებელ წიგნებს ეტანება. სამყარო, საბავშვო ენ-
ციუროპედია, ცხოველთა სამყარო, ფლორა, ადამიანი და
სამყარო.... ექვსი წლის სტანისლავი ისეთი ცოდნა გამო-
ამჟღავნა მთვარის, მარსის, იუპიტერის, სატურნის, საერ-
თოდ სამყაროს შესახებ, რომ პანსიონატ წყალტუბოს თა-
ნამშრომლები აღტაცებასა და გაოცებას ვერ მალავდნენ
ბიჭუნას განსწავლულობით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პანსიონატ წყალტუბოს
ხელმძღვანელებმა დასვენების ნორმალური პირობები
შეუქმნეს რუსი დიპლომატის ოჯახს.

– მღვიმე ძალიან მომენტონა. აქ კიდევ ჩამოვალ, – თქვა
ბიჭუნამ თბილისში წამოსვლის წინ.





* * *

კარსტული მდვიმეების მიკროკლიმატის სამკურნალოდ გამოყენებას სპელეოთერაპია ეწოდება. 50-იან წლებში, უნგრეთსა და ჩეხოსლოვაკიაში სპელეოთერაპია ბრონქული ასთმის სამკურნალო ეფექტურ საშუალებად იქცა. კლუტერტის (გერმანი) და ტოპოლცის (უნგრეთი) მდვიმეები დღეს ფართოდაა ცნობილი მსოფლიოში.

საქართველოში კარსტული მდვიმეების მიკროკლიმატის სამკურნალოდ გამოყენების პრიორიტეტი, ი. კონიაშვილის სახელობის კურორტოლოგისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს და მის წყალტუბოს ფი-

ლიალს ეკუთვნის. ამ მიზნით, საქართველოში პირველად თეთრა მდვიმე გამოიყენეს, რომელიც წყალტუბოს მასლობლად მდებარეობს, აქ მრავალმა ადამიანმა პპოვა შვება.


სამწუხაოდ, საქართველოში ბოლო წლებში დატრიალებულმა მოვლენებმა თეთრა მდვიმეც შეიწირა: გაიძარცვა ელექტროსადენები, წაიღეს პაციენტების დასასვენებელი სკამები, დალენეს ნაღვენთები; მდვიმე ისე გაპარტახდა, რომ სამკურნალოდ სრულიად გამოუსადეგარია.

**ჯუმბერ ჯიშკარიანი
სექტემბერი 2012**

მადლიარი პაციენტები...

ასკურავების საგვარეულო მაღამოშუასაუკუნეების ქართულ ხელნაწერებშია მოხსენიებული. სწორედ, მათ ჩაუყარეს საფუძველი მსოფლიოში ერთადერთ უნიკალურ მეთოდს – მოტეხილობის მკურნალობას უთაბაშიროდ, უბრალო გადახვევით და მაღამოთი. ჟეტრე და დავით ასკურავები გურიაში ცნობილი მკურნალები იყვნენ, XX საუკუნის მეორე ნახევარში, ბატონშა ბიჭიკომ წინაპრების მეთოდი, მაღალ საფეხურზე აიყვანა. მკურნალობს ნებისმიერი სახის მოტეხილობას, ამოვარდნილობას, მენიკას. ოსტეოქონდროზს, ძვალსახსართა სხვადასხვა დაავადებებს. მკურნალობა სამჯერ უფრო სწრაფი და ეფექტურია, ვიდრე ქირურგიული ჩარევის დროს. მაღამოს შემადგენლობა საიდუმლოა და თაობიდან თაობას გადაეცემა...

ბიჭიკო ასკურავა დაიბადა 1939 წლის 1 აგვისტოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიანში. სკოლის დასრულების შემდეგ, ჩააბარა მოსე თოიძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში. პარალელურად, დაიწყო მისი სპორტული კარიერა. იყო გამორჩეული ველოსპორტსმენი. მცირე ხნით, ველოსპორტის ფედერაციის პრეზიდენტი, შემდეგ მწვრთნელი,



ბიჭიკო ასკურავა

აღზარდა კარგი ველომრბოლელები. შვილიშვილი, დათო ასკურავა სპორტშიც ბაბუას ტრადიციას აგრძელებს. დათომ ოცდასამი წლის პაუზის შემდეგ, მსოფლიო ჩემპიონატის ლიზენზის მოიპოვება, საქართველოდან მხოლოდ მან შესძლო. არის საქართველოს აბსოლუტური ჩემპიონი, ორჯერ რუსეთის პრიზიორი, ევროპის ჩემპიონატზე დაიკავა

მესამე ადგილი, მოიგო ბაქო-ერევანის ჩემპიონატები, სომხეთში ველოტრეკის გახსნაზე, პირველ დღეს, ყველა სახელობაში გამარჯვე.

ბიჭიკო ასკურავა 1967 წელს დაოჯახდა. მეუღლე მადონა ჩიტაია პროფესიონალური მუსიკოსია. 39 წლის ასაკში მოულოდნელად გარდაეცვალა ვაჟი, ირაკლი ასკურავა. ქალიშვილი ქეთევანი ინგლისური ენის სპეციალისტია. ჰყავთ შვილიშვილები და შვილთაშვილები.

ცნობილია ბიჭიკო ასკურავას საქველმოქმედო საქმიანობა, თუმცა, ამ თემებზე საჯაროდ არასდროს საუბრობს. 1999 წელს სამების ტაძრის მშენებლობაში შეტანილი წვლილისთვის, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ დააჯილდოვა სიგელით. სასულიერო პირების უსახსროდ მკურნალობისთვის, გადასცა მადლობის წერილი. ასევე, თავისი წვლილი შეიტანა საჩხერის და ლანჩხუთის ეკლესიების მშენებლობაში. რუსეთის კულტურის ცენტრის თხოვნით, დააფინანსა გრიბოედოვის თეატრში გამართული პოეტ მიხეილ ქვლივიძის საიუბილეო საღამო. 90-იან წლებში გადაარჩინა ლესელიძის ქუჩაზე მდგარი საზოგადო მოღვაწის მირზა ფათალი ახუნ-



დოვის ძეგლი. ბიუსტი ჯართად უნდა გაეყიდათ. ბიჭიკო ასკურავამ საგულდაგულოდ შეინახა 67-ე საჯარო სკოლის კიბების ქვეშ. დღეს, ძეგლი აზერბაიჯანული სკოლის წინ დგას.

1999 წელს საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ დააჯილდოვა ღირსების ორდენით. 1990 წელს ბიჭიკო ასკურავამ საქართველოში შექმნა პირველი კერძო კლინიკა – საოჯახო ფირმა ასკურავა. იგი გახლავთ საქართველოს ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი, ჩინეთ-ისრაელ-ამერიკის ხალხური მედიცინის პროფესორი, ალბერტ შვეიცერის პრემიის და მოსკოვის საერთაშორისო სახალხო მკურნალთა გამოფენის ლაურეატი, დაჯილდოებულია აშ-ს ჰუმანური ღირსების მედლით. 2010 წელს გახსნა მცხეთის სამკურნალო სახლი. არა ერთი შეთავაზების მიუხედავად, საქართველოდან წასვლა არასდროს უფიქრია...




მადლიერი პაციენტები ჰყავს არა მარტო საქართველოში, უცხოეთშიც: მამა გაბრიელს მცხეთის სამთავროს დედათა მონასტერში მკურნალობდა, გურამ დოჩანაშვილი, ლადო გუდიაშვილი, კოლაუნადირაძე, მერაბ ბერძნიშვილი, რობერტ სტურუა, ჭაბუა ამირეჯიბი, ლეილა აბაშიძე, სოფიკო ჭიაურელი, ვერიკო ანჯაფარიძე, ეთერ ჭელიძე, გურამ ფირცხალავა, თემურ ნიკლაური, ჯუნა დავითაშვილი, გოგი თოფაძე, ოთარ იოსელიანი, თენგიზ სუხიშვილი, დავით ყიფანი, რომან რურუა, გურამ სალარაძე, ვიქტორ სანიევი, დიმიტრი ტარასენკო, იოსებ კობზონი, მოსკოვის ექს-მერი იური ლუჟკოვი და სხვ.

დღეს, საგვარეულო ტრადიციას შვილიშვილები – დათო და ლადო აგრძელებენ. იმედოვნებს, მომავალში შვილთაშვილები – ირაკლი და გუგა ასკურავები ჩაუდგებიან სათავეში.

ლელა სურმავა







ԱՐԵՎԱԴՐԱԿԱՆՈ



☺ ☺ ☺

90-օանո նլցքո. ցշրջողո կաხելս յգիրածակեցի:

– Ի՞շեն, մամա, յայլաչոյ ժայռանքի վարտ, մտյալո մտացրոնք հիշեն վարտ. տյշեն վոն ցպատ, մոտხարոտ?!

– Ի՞շեն կուգենա ավլութա ցպատ ցըշքիս յէյմի.

– ոչչէ, կայ յրտո, տոյ մմա եար, հիշեն րո ար զոյորդ, արշ մաս ցըոռլութա կախելցիքս...

☺ ☺ ☺

ցշրջողենս սայնարո:

– Ռաման րոմ մոյտի, մշն ոյսա տոյ մենո մմա?

– Ի՞շմո մմա.

– ոչչէ, նամեցանո ցլածա ամծացո մոցալուա...

– ածա...

– րոտո մոյտի?

– ցրուուտ.

– ոչ, մաս այցերո...

☺ ☺ ☺

– բայցոյնա նոմո, ս'ոյ ար պոյունա ամծրունայրուուն այցրոյա մորոն...

– րո ուու, յէյ մենո ժորոմի?

– րո զուու դա սախլուս ցըերդու, մալանիանո յրտո նանցո մոյմանքս դա պոյուն դոլուտ ցըլուսուեցուտ մոցու...

☺ ☺ ☺

յիրուրցո յշնեցի րաժեղել პացունցիս:

– ելասելա յնճա ցացացատո. մուցալուս լրումո ցալո ելուտատման դամրիս.

– ար ցամժրա յէյմո. ցամուցանմրտելցու դա ասալ ելուտատման ցոյուու...

☺ ☺ ☺

– ցեր մեցպատ, րոմելո սաատօա?

Ցրդունուննանա մոմարտյս ցշրջունս:

– րոյնա ցեր ցեցպատ, մամա, ցենցուրո տոյ?..

☺ ☺ ☺

ցշրջունմա յէյմի մշնիունա:

– յէյմո, մոլո ար մոյունուս, րացոմ?

– մաս, այցերո, սենրացա ցմոնաւս, ալքատ...

☺ ☺ ☺

ցշրջունո մագարելուտ մցիացրոնք. ելուացս, մու նոն մյացունո յալ-ձագոն ներցունուննա...

– րացոմ ներցունուննա?

– ի՞շմո յմարո ցշրջանուս սապու-դլագ հիշուու, մագարելու դցուու դա դարիս. րո մեմշելունք ածլա մե?

– ար ներցունունո յալծագոնք, մո ցատշույն ցշրջանուս...

☺ ☺ ☺

րաժեղելո մոծլուարս ալսարենքաս ածարենքս:

– մամա, մշելուու.

– րո մշուու ի՞շմո?

– մեցրելո մոցապունք.

– ոչ ցուուա կո արա, սասնայունուս մշուու...

☺ ☺ ☺

ցշրջունմա մեցրենարս մշնիունա:

– րո յշնա, մամա, ցուունա նշել յրացագին ար դամանցոնա... դլաս, յուու, սգուուտան ար դամանցոնա...

– կրացագո յրտո, մարա, ժամաց ալար մշցունուս, մշն յուցուրո!..

☺ ☺ ☺

ցշրջունմա յացուուցա ցլանա գու-յրանք, հիայուունուն տոյ արա պածալա-նո, յրտմա տյէս:

– րատ յնճա ամ նացելունս պածա-լանո?

– նամտարնու մշն նշունց տոյ, – ոչուսուս մեորեմ.

☺ ☺ ☺

ծակունման սունդունուն (իսենցա տոտուննայք):

– ծակուն, ածդալու որո ցնունա ծեց-նուուրու. յրտո ծեցնուուրունք սունդունու, մեորե – մու սունդունուն րոմ ցեր ետե-նա. յէ, յուցուրունք մեորեա, րոմ մու-տյնա, րո ժորոս...

☺ ☺ ☺

ցշրջունմա դանիունա:

– բացիս ածդունունք տյմա մոնճա, մարա, ամ պարլամենցարենքս եռո ցերա-ցունս դասենրու!..

☺ ☺ ☺

մշուու մամաս յուտենքս:

– մամա, րոցուն սայնանք ցըե-լունք?

մամաս սուցունք ցաեցա դա յուտերա:

– րացոմ եար հիշմագ? ամունց եմա, ծավուս մշն յնա անցւերնունքս...

☺ ☺ ☺

ցշրջունմա եունս ամենենք:

– մուուտ, ատասո մեցրելո դավապու-նուն նշետ, տոյ ար հիապունք, յաս ոյնենք:

– կո մարա, րոմ հիապունք?

– ոչ, մաս ունա յաս ոյնենք...

☺ ☺ ☺

ցշրջունո դա յերայլո ածանոնի ծա-նառենք:

ցշրջունո ցայցունք յուտենքս:

– մամա, մշելուու?

– արա, յշնեցի ցշրջունո.

– ածա, յուցապունք?..

☺ ☺ ☺

րաժեղելո մոծլուարս ալսարենքաս ածարենքս:

– մամա, մշելուու.

– րո մշուու ի՞շմո?

– մեցրելո մոցապունք.

– ոչ ցուուա յու արա, սասնայունուս մշուու...

☺ ☺ ☺

յահելո բակենչեն յուտենքս, ծնոնկուուտ որտունքս տայս դա ցուու յուպուրենք:

– զա, մարո.

մերյ ծնոնկու մշագրունքս:

– մարոնոոո....

☺ ☺ ☺

ցշրջունո յուտենքս մեցրելու:

– րազա սարտ մամա?

– րազերու ցացունք յարդենք...

– րազա, ամոնցուն յուպունք?

☺ ☺ ☺

նարկոմանմա սարկենի հանեդա.

– զա, մե զար, ծոյու!

մերյ մեորեդ հանեդա:

– յէյ, ուսեց մե զար, ծոյու! կարչե յաշնուս.

– զոն եար? – յուտենքս նարկոման.

– մե – յսմուս նասուս.

– զա, ցարետաց մե զար, ծոյու!

☺ ☺ ☺

– ալո, սասնրացուա? դուս. ի՞շմա ծացունքս սանցրու յալամո ցաձայլապա.

– ածլաց ցամունցարտ!

– մանամց րո յշնատ?

– ցանյուրոտ դանյուրե.

☺ ☺ ☺

սազան նուս դա նամլունքս յուլապազ:

– ցուագագ եռմ ար եար? – յուտենքս մյինունքլու.

– արա, ամ նամալս ցուա մշնաեցուս ցաձացուա.

☺ ☺ ☺

ավտոնցունքս նարկոմանս մոենցու-նուն յանենքս:


– մշուու ամենենք:

– մշուու ամենենք ագցուումյ ագցուու, 42-նո յուենքս դացուարցի.

– ածլու, ածլասեան 42-ուտ ցումիցնավորյ, մշն յուենքս նազագացուա.

የኢትዮጵያውያንድ የሰነድ ተቻል ስርዓት አስተዳደር የሚያስፈልግ የሚያስፈልግ የሚያስፈልግ

ISSN 2346-7606



9 772346-760009